# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 23 ნოემბერი. 2022 წ. №178 (9516) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი




სალომე ზურაბიშვილი:

## რუსეთთან ომის გამორიცხვაც კი არ შეიძლება, ამიტომ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად!!!

②

რომან სვიტანი:



③

## დიდი გარიგება – ამერიკის მილსადენს არახამია მფარველობს?!

ლია მუხაშავრია: უფრო გონივრულია, სასამართლო წესით, აღმასრულებელმა მოახდინოს გამოსახლება, პოლიციისთვის ამ უფლების დაბრუნება, ძალიან სახიფათოა...

③



## ევროპაში დაწყებული ენერგოკრიზისი საქართველოს და აზერბაიჯანს კიდევ ერთ დიდ შანსს აძლევს!

⑧



## თამარ გაბუნია: ე.წ. ჰონგ-კონგის ვირუსთან დაკავშირებით განგაშის საფუძველი არ არსებობს

⑪

⑥ ⑦

## ცამის მსოფლიო ჭუიყუფს!



# ...იხსენ სამკვიდრო შენი – გეორგია



### წმიდა გიორგის ტროპარი

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

### წმიდა გიორგის კონდაკი

მოიმუშაკე ღმრთისა მიერ და გამოჩნდი მუშაკად პატიოსნად ღმრთისმსახურებისა, გიორგი... და სათნოებათა მჭელეული შეუკრიბე თავსა თვისსა, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოიმკე, სისხლი დასთხიე და მოღვაწებითა ქრისტე შეიძინე, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა.

---

## წმიდა გიორგი

წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენ სამკვიდრო შენი – გეორგია,
დიდების უფალი მართალთა მწედ არი...

წმიდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვემადლე იმედი და უფლის სვე-დარი!

ზვიად გამსახურდია

---

ამ გიორგობა დღესაო, ლოცვას გიგზავნით ზეცასაო,
იხარეთ, იბედნიერეთ, არ შეუშინდეთ წლებსაო,
გფარავდეთ წმინდა გიორგი
აწ და მრავალსა წელსაო!..

# სალომე ზურაბიშვილი: არ მგონია, რუსეთი ახლა შემოიჭრას საქართველოში, მაგრამ შეიძლება, დროის რაღაც მომენტში გაუჩნდეს ცდუნება, ამიტომ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად!



**მე ვიყავი შეშფოთებული, ისევე როგორც მთელი მსოფლიო და შეიძლება, უფრო მეტადაც კი. ჩემს გუნდთან ერთად, მთელი ღამე ვადევნებდით თვალს ახალ ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ მომხდარი წინააღმდეგობაში მოდიოდა ჩემს შეგრძნებასთან, რომ ბირთვული ბალანსი კარგად მუშაობს დღეს და ამ ხაზს, რომელიც დაცულია ნატოს მიერ, ყველა ძალიან უფრთხილდება,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ბიბისის" გადაცემა „ჰარდთოქში" განაცხადა.

სალომე ზურაბიშვილს ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა რეაქციაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე რაკეტა ჩამოვარდა.

**„მანამდე არც კი ვფიქრობდი, რომ რუსეთი განზრახ და მიზანმიმართულად გაბედავდა ამ ტერიტორიის რომელიმე ნაწილის ხელის ხლებას, მაგრამ ყველაფერი შეიძლება, მოხდეს. ყოველთვის შეიძლება, მოხდეს არასწორად გათვლილი რამ და ჩვენ ვნახეთ, რომ ასეთი არასწორად გათვლილი ნაბიჯები რუსეთის ლიდერის მხრიდან რამდენიმე იყო. ამიტომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლებოდა და მე შეშფოთებული ვიყავი",** — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, კითხვაზე, „სურს თუ არა რუსეთს საქართველოს შთანთქმა", სალომე ზურაბიშვილმა უპასუხა, რომ „რუსეთს ყოველთვის სურდა საქართველოს შთანთქმა".

**„ეს იყო რუსეთის იმპერიის დიდი ხნის ოცნება, შემდეგ საბჭოთა კავშირის, რომელმაც ფაქტობრივად საკუთარ შემადგენლობაში შეიყვანა დამოუკიდებელი საქართველო 1921 წელს. 1992-93 წლებში ხალხმა არ იცოდა, მაგრამ რუსეთი სრულად იყო ჩართული სეპარატისტების ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ. ის იყო აქტიურად და სამხედრო გზით ჩართული. 2008 წელი კი გახლდათ უკანასკნელი მაგალითი ამ მცდელობისა. ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით და ასე გვიწევს ცხოვრება უკვე დიდი ხანია. საქართველო მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სხვადასხვა იმპერიის შემოჭრის პირობებში და ყველა მათგანს წინააღმდეგობას უწევდა. შეიძლება, ეს სასწაულია, ან საქართველოს მედეგობა",** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, არსებობს ახლა რუსეთის საქართველოში შეჭრის შესაძლებლობა?, — სალომე ზურაბიშვილი პასუხობს, რომ **„არ ჰგონია, რუსეთი ახლა შემოიჭრას საქართველოში, მაგრამ შეიძლება, დროის რაღაც მომენტში გაუჩნდეს ცდუნება, ქულები დაიწეროს საქართველოში, ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილად".**

**„არ მგონია, ასე არ ვფიქრობ. საქართველოს არ ჰყავს უკრაინის მსგავსი არმია, არ აქვს იმხელა ტერიტორია და სამხედრო რესურსები, რაც უკრაინას. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რუსეთში იციან ინდივიდუალურად ქართველების წინააღმდეგობის გაწევის უნარი მსგავსი ოკუპაციის მიმართ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ მგონია, რომ რუსეთი ახლა შემოიჭრას საქართველოში, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ რუსეთის დამცირებას, ფაქტს, რომ აგებს ამ ომს, ბევრი გაგებით.**

**მან ბევრი არასწორი გათვლა გააკეთა და შეიძლება, დროის რაღაც მომენტში, შიდა მიზეზებით, რუსეთს გაუჩნდეს ცდუნება, ქულები დაიწეროს საქართველოში, სადაც ის უფრო იოლია. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად, მაგრამ, ამავე დროს, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აისახოს ჩვენს ქმედებებზე, ჩვენს სიტყვებსა და ევროპულ ორიენტაციაზე. ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, მაგრამ ვერავინ და ვერასდროს შეძლებს რუსეთის შეჩერებას ამ ცდუნებისგან, თუ რუსეთი იფიქრებს, რომ დროის იმ მომენტში, ეს მის საუკეთესო ინტერესებშია. მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც შეიძლება გავაკეთოთ, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენ მათ საქმეს არ გავუადვილებთ"...**

## ირაკლი ბერაია: ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ორივე რეზოლუცია გამოხატავს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას!



**ნატოს საპარლამენტო ასამბლეა კიდევ ერთხელ ეუბნება მთელ მსოფლიოს და პირველ რიგში, აგრესორ რუსეთს, რომ ალიანსის ღია კარის პოლიტიკა არ გადაიხედება, ის, რომ ვერც ერთი მესამე სახელმწიფო ასპირანტების ევროატლანტიკურ მისწრაფებას ვეტოს ვერ დაადებს და რომ ალიანსი აძლიერებს საქართველოს მხარდაჭერას,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაიამ მადრიდში განაცხადა.

**„განსაკუთრებით გამოვყოფდი ორ რეზოლუციას. პირველი ხაზგასმით ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას. მოუწოდებს ალიანსის წევრი სახელმწიფოების მთავრობებს და პარლამენტებს, გააძლიერონ საქართველოს მხარდაჭერა, ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები როგორც მედეგობის გაძლიერების თვალსაზრისით, ასევე დამოუკიდებლობის დაცვის თვალსაზრისით შესაძლებლობები და გააძლიერონ პრაქტიკული მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.**

**ასევე ვიტყოდი, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე რეზოლუცია, რომელიც ქართული დელეგაციის მიერ წარდგენილი წინადადების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და რომელიც მოუწოდებს ალიანსის წევრ სახელმწიფოებს, სწრაფად განახორციელონ და უზრუნველყონ მადრიდის სამიტზე მიღებული საქართველოზე მორგებული მხარდაჭერის ზომების იმპლემენტაცია.**

**ასამბლეა კიდევ ერთხელ ეტყვის მთელ მსოფლიოს და პირველ ყოვლისა, აგრესორ რუსეთს, რომ ალიანსის ღია კარის პოლიტიკა არ გადაიხედება, ის, რომ ვერც ერთი მესამე სახელმწიფო ასპირანტების ევროატლანტიკურ მისწრაფებას ვეტოს ვერ დაადებს და რომ ალიანსი აძლიერებს საქართველოს მხარდაჭერას",** — განაცხადა ირაკლი ბერაიამ.

## მატეუშ მორავეცკი: პოლონეთს ეჭვი არ ეპარება, რომ...



**პოლონეთს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველო 2008 წელს და ყირიმის ნახევარკუნძული 2014 წელს იყო ჩვენი ისტორიის ახალი ერის დასაწყისი,** — ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, მატეუშ მორავეცკიმ ფინეთის პრემიერ-მინისტრთან, სანა მარინთან შეხვედრისას განაცხადა.

პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელმა თქვა, რომ უნდა მოხდეს რუსული აქტივების კონფისკაცია და რუსეთმა უკრაინაში წარმოებული ომისთვის ტკივილი უნდა იგრძნოს.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ პშევოდოვში რაკეტის აფეთქების საქმის გამოძიებას ჯერ არ მიუღია მონაცემები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ზუსტად დადგინდეს, საიდან იყო რაკეტა გასროლილი, რომელსაც ორი ადამიანი ემსხვერპლა.

**„პოლონეთს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველო 2008 წელს და ყირიმის ნახევარკუნძული 2014 წელს იყო ჩვენი ისტორიის ახალი ერის დასაწყისი. ეჭვი არ გვეპარება, რომ რუსული გაზი ისეთივე სახიფათოა, როგორც რუსული ტანკები. ეჭვი არ გვეპარება, რომ პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე ჰიბრიდული თავდასხმა იყო რუსეთის ქმედებების პრელუდია.**

**პოლონეთმა ააშენა კედელი ბელარუსის საზღვართან და ვაპირებთ, ავაგოთ ბარიერი პოლონეთ-რუსეთის საზღვარზე კალინინგრადის რეგიონში. ჩვენი საზღვრის უსაფრთხოება ადგილობრივი საკითხი არ არის და გლობალური განზომილება აქვს. ნატო არის ყველაზე ძლიერი სამხედრო კავშირი ისტორიაში, მაგრამ ძალა ეყრდნობა ყველა სახელმწიფოს ძალას და სოლიდარობას",** — აღნიშნა მატეუშ მორავეცკიმ.

## ნაცების კანონპროექტი სამართლებრივი ნონსენსია!



**„ნაციონალურ მოძრაობას" უნდა, დეოლიგარქიზაციის ის კანონპროექტი წარმოადგინოს, რომელიც იციან, რომ წარუმატებლობისთვის განწირულია, რადგან სამართლებრივად გაუმართავი და დაუხვეწავია,** — ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ განაცხადა.

**„ნაციონალური მოძრაობის" სურვილია, რომ ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების მიმართულებით ქვეყანამ ნაბიჯები არ გადადგას. როგორც ჩანს, მათი საზრუნავია დეოლიგარქიზაციის პუნქტი არ შესრულდეს. მათ მიერ მომზადებული ცვლილებები როგორც პოლიტიკურად, ასევე სამართლებრივად გაუმართლებელი.**

**არავის ეგონოს, რომ თითქოს, ეს კანონპროექტი რაიმე პრობლემას შეუქმნის ბიძინა ივანიშვილს. რეალურად, კანონპროექტი აბსოლუტურად უპერსპექტივოა. მცდელობაა იმის, რომ გარკვეული თვალსაზრისით შეუმსუბუქონ შესაძლო ოლიგარქიის მცდელობის მქონე პოლიტიკოსებს მათთვის მოსალოდნელი წნეხი და სირთულეები, რაც შეიძლება დეოლიგარქიზაციაზე მუშაობამ მათ შეუქმნათ. ლევან ბეჟაშვილმა კარგად იცის, რომ ეს კანონპროექტი სამართლებრივი ნონსენსია",** — განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

## ჩერგოლეიშვილის „უზერებელი" სტრიქონები... ხაბეიშვილზე!

**„ტაბულას" დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის" წევრის ლევან ხაბეიშვილის შესახებ წერს და აცხადებს, რომ ხაბეიშვილის გამოძიებებს არ ენდობა.**

როგორც ჩერგოლეიშვილი აღნიშნავს, ისინი, ვინც ხაბეიშვილთან თანამშრომლობენ, ამ ლაქას ვერასდროს ჩამოირეცხავენ.

„ხაბეიშვილი თავის სპონსორს, დავით კეზერაშვილს აბრალებდა, რომ მან ქვეყნის ბიუჯეტი გაძარცვა, მილიონები მოიპარა და დასასჯელია. **დღეს, როცა კეზერაშვილს წველის, ეს ადამიანი ამბობს, რომ კეზერაშვილს აქამდე ცილს სწამებდა და ცილისწამების მიზეზად ვიღაც სხვა ხალხთან შეუთავსებლობას ასახელებს.**

**ერთი მიზეზი მითხარით, რატომაც საქართველოს მოქალაქეებმა ამის გამოძიებებს უნდა დაუჯერონ ბიძინა ივანიშვილზე? ვინც ამის ორგანიზაციაში მუშაობთ და ამის გამოძიებებზე პასუხისმგებლობას იღებთ, მართლა ფიქრობთ, რომ თქვენ პოლიტიკური მომავალი გაქვთ? მართლა ფიქრობთ, რომ ასეთი ბინძური ცილისმწამებლებისაა ამ ქვეყნის პოლიტიკური მომავალი? მართლა ფიქრობთ, რომ ამ გზით წაიყვანთ ქართველ ხალხს ევროპისკენ?**

**გახსოვდეთ, რომ ამ ქვეყანაზე ქაღალდის გარდა, კიდევ არის სინდისი. პირობას გაძლევთ, რომ ხაბეიშვილთან მუშაობის ლაქას ვერასოდეს ჩამოირეცხავთ. ჩემი პროგნოზი ახდება თუ სხვისი — დაელოდეთ"...**





# ბექა ლილუაშვილი: არაფორმალურ დეოლიგარქიზაციის მკურნალობა კანონით როგორ შეიძლება?!



**პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას პარლამენტში პარტია „საქართველოს“ წევრი, ბექა ლილუაშვილი უარყოფიდად აფასებს. მისი თქმით, პრემიერმა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუთმო დრო და არ ისაუბრა მთავარ საკითხზე – 12 პუნქტის შესრულებაზე.**

**ბექა ლილუაშვილი:** სამწუხაროდ, ჩვენ ვუსმენდით იმ ნარატივს, რა ნარატივსაც უკვე დიდი ხანია ვისმენთ. მთელი დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი საუბრობდა თუ როგორ ჯობია დღევანდელი ხელისუფლება 10 წლის წინანდელ ხელისუფლებას. არადა ინტერპელაციის მთავარი საკითხი დასავლეთში ინტეგრაცია და 12 რეკომენდაციის შესრულება იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში „ქართული ოცნება“ ამ ნარატივს აცოცხლებს და ყოველთვის ძალიან კარგად იყენებს როდესაც ასეთი გამოსვლებია პარლამენტში.

**— ამის გარდა, პრემიერ-მინისტრი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის საკითხსა და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობასაც შეეხო. ამ მხრივ რამდენად ამომწურავი იყო ირაკლი ღარიბაშვილის პასუხები თქვენთვის?**

— ომის რიტორიკასთან დაკავშირებით როდესაც საუბრობდა, დარბაზში არ ვიმყოფებოდი, თუმცა შემდეგ გავეცანი მის საუბარს. უკრაინის ხელისუფლების მოკავშირეებზე და ქარაგმებით საუბარი არავისთვის ფაზლის აწყობა არაა. ყველამ კარგად ვიცით, პრემიერი ამ სიტყვების მიღმა ვის გულისხმობს. რეალურად, ხელისუფლება რა რიტორიკას აწარმოებს ჩვენს პარტნიორებთან და მათ შორის ომთან მიმართებაში, ეს ყველაფერი პარტნიორების მხრიდან უყურადღებოდ არ დარჩენილა. ჩვენ ვნახეთ, რომ გამოვიდა სენატორი და იყო საუბარი, რომ მოხდეს გადახედვა სტრატეგიული ურთიერთობის. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ პარტნიორებთან ურთიერთობაში წითელი ხაზი გადაკვეთა და ახლა უნარდაკარგულია, რომ ეს ურთიერთობები შემოატრიალოს. ამიტომ, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ქვეყნის იზოლირება არ მოხდეს.

**— რას გულისხმობთ წითელი ხაზის გადაკვეთაში?**

— სამწუხაროდ, ხელისუფლებამ იმდენი გააკეთა სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობაში, რომ ველარ შემოატრიალებს და ველარ აღადგენს ურთიერთობებს. ხელისუფლებას აღარ აქვს ნდობა ჩვენი პარტნიორების მხრიდან.

**— თქვენს პარტიას რა კითხვები ჰქონდა და რამდენად მიიღეთ პრემიერისგან პასუხები?**

— ჩვენ, სამწუხაროდ, ინტერპელაციიდან გამომდინარე, მხოლოდ კომენტარების გაკეთების საშუალება გვქონდა. თუმცა, არაერთი კომენტარი გავაკეთეთ. პრემიერს, როგორც ჩანს, ასეთი ტრადიცია აქვს, რომ კითხვეზე პასუხებს არ სცემს, მისთვის, როგორც ჩანს, ადამიანებისგან წამოსული კითხვები და შეფასებები საინტერესო არ არის.

**— თქვენ ახსენეთ, რომ პრემიერს 12 პუნქტის შესრულებაზე არ უსაუბრია. თუმცა, 12 პუნქტიდან ერთ-ერთი მთავარი საკითხის დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებას ოპოზიციის ნაწილი არ ესწრებოდა. რატომ არ იღებს მონაწილეობას ოპოზიცია განხილვებში და თქვენ როგორ შეაფასებდით დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებას?**

— სხვების პოზიციაზე ვერ ვისაუბრებ. ჩვენ თავიდან ვთქვით, რომ ჩართულები ვიქნებოდით. მიმდინარე მოვლენას ასე შევაფასებდი – „პარაცეტამოლით“ არ შეიძლება ვირუსსაც უმკურნალო და შაკიკსაც. ანუ, უკრაინის მოცემულობა არის უკრაინის და კანონი, რომელიც იქ არსებობს, მორგებულია უკრაინაზე. რამდენად მოაგვარებს აღნიშნული კანონი უკრაინაში სიტუაციას, ეს ჯერ არ ვიცით და, ალბათ, მალე გამოჩნდება. მეორე მხრივ, როდესაც უკრაინული კანონმდებლობა გადმოგაქვს ჩვენს რეალობაში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან პრობლემები სხვა არის. პრობლემა არის არაფორმალური დეოლიგარქიზაცია. არაფორმალურ დეოლიგარქიზაციის მკურნალობა კანონით როგორ შეიძლება?! დააწესო ცნება, რომ ოლიგარქი არის ის, ვინც ფორმალურად პარტიას აფინანსებს, ცოტა გაუგებარია. თუ ვინმე პოლიტიკურ პარტიას ღიად აფინანსებს, მას უკვე ფორმალურად ისედაც აქვს ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. აქ საუბარი ფორმალურ ძალაუფლებაზე არაა, საუბარია არაფორმალურ ძალაუფლებაზე. შესაბამისად, ეს კანონი შედეგებს არ მოიტანს.

**— როგორ ფიქრობთ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოიკოტი აღნიშნულ კანონპროექტს იმიტომ გამოუცხადა, რომ შესაძლოა ოლიგარქის სიაში დავით კეზერაშვილი აღმოჩნდეს?**

— შეიძლება ვისაც კეზერაშვილი აფინანსებს, ამიტომ გამოაცხადეს ბოიკოტი.

ესაუბრა
**ქეთი გიორგაძე**

# სულხან მოლაშვილი გახსოვთ, ნაცებო?!



**სულხანი ციხიდან გამოვიდა გამხდარი და უმძიმესი ავადმყოფი, რომელიც მკურნალობის მიუხედავად მალევე გარდაიცვალა. ვინმეს თუ გაგიგიათ ციხიდან სულხანის წუწუნი ავად ვარო?-მე არ გამიგია...ეს ისე, შედარებისთვის** – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** სოციალურ ქსელში წერს.

**„სულხან მოლაშვილი სააკაშვილის რეჟიმმა 2004-ში დააპატიმრა. სულხანი სასჯელს მე-7-ე საპყრობილის სარდაფში იხდიდა, რომელიც შსს შენობაში იყო განთავსებული. მხოლოდ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოთხოვნის შემდეგ გადაიყვანეს სულხანი ციხის საავადმყოფოში.**

**საკანი რომელშიც სულხანი იჯდა, სიგრძეში 3 ნაბიჯიც არ იყო, საკანში არ არსებობდა ელექტრო გაყვანილობა, არ ჰქონდა პატარა სარკმელიც კი სინათლის სხივს რომ შემოეღწია, იწვა რკინის ნარზე, რომელსაც მიშას ჯალათები ღამე ჩამოუწევდნენ და დილით აკეცავდნენ კედელზე, არ ჰქონდა რკინის სკამიც კი რომ ჩამომჯდარიყო. არ ჰქონდა ლეიბი და თეთრეული.**

**„ბალანდის“ საჭმელად ჰქონდა რკინის ჯამი („მისკა“), მაგრამ არ ჰქონდა კოვზი ან ჩანგალი... ჩემთან შეხვედრის შემდეგ მათიას იორში (ევროპარლამენტარი, საქართველოში ადამიანის უფლებებზე მომხსენებელი იმ დროს) ჩემი დაჟინებული თხოვნით, მივიდა სულხანის მოსანახულებლად, კარები რომ გამოუღეს, გარედან შესული სინათლის ეფექტზე სულხანი მუხლებში ჩაიკეცა და დაეცაო, ყვებოდა იორშა.**

**იქიდან გამოსულ იორშსს ელენე თევდორაძისთვის უკითხავს: აი, იქ რომ ჩამოხვალთ სტრასბურგში ამაზე რა პასუხი გაქვთო? (ეს თვითონ ელენემ მითხრა, ის ახლდა მათიას იორშს ციხეში). ვინმეს თუ გაგიგიათ დასავლეთიდან ხმა იმ სტრუქტურისა, რომელსაც იორში წარმოადგენდა? – მე არ გამიგია. სულხანი გამოვიდა ციხიდან გამეათედებული, გამხდარი და უმძიმესი ავადმყოფი, რომელიც მკურნალობის მიუხედავად მალევე გარდაიცვალა.**

**ვინმეს თუ გაგიგიათ ციხიდან სულხანის წუწუნი, ავად ვარო? – მე არ გამიგია... ეს ისე შედარებისთვის.**

**ნათელი მის ხსოვნას“...** ნანა კაკაბაძე.

# იაგო ხვიჩიას რატომ არავინ უსმენს?!

**მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ და სხვა ოპოზიციური პარტიები 12 პუნქტის შესრულებას აღიარებენ, ეს ერთადერთი გამოსავალია,** – ამის შესახებ „გირჩის“ ლიდერმა, იაგო ხვიჩიამ განაცხადა.

**„ჯერ კიდევ ზაფხულში ვამბობდით, რომ მიხეილ სააკაშვილის საკითხი უნდა ყოფილიყო ევროინტეგრაციის აუცილებელი კომპონენტი, რადგან რთულად წარმოგვედგინა დეპოლარიზაციის მიღწევა მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი ციხეშია და მისი მხარდამჭერები აქციებს აწყობენ. ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულება თუ მოგვინდება, უნდა გავითვალისწინოთ გზები მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანასთან დაკავშირებით. მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ და სხვა ოპოზიციური პარტიები 12 პუნქტის შესრულებას აღიარებენ. ეს იყო პირობა, რასაც ყველა პოლიტიკურ ძალას ვთავაზობდით, ეს არის სწორედ ერთადერთი გამოსავალი“,** – განაცხადა იაგო ხვიჩიამ.



რომან სვიტანი

# დიდი გარიგება – ამერიკის მილსადენს არახამია მფარველობს?!



დავით არახამია

**„ხერსონიდან რუსების მარცხენა სანაპიროზე გადასვლა შეთანხმებული იყო გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრთან და დიდი ალბათობით შტატები, რუსებს გასვლის საშუალებას მისცემს, რომლებიც ახლა მშვიდობიან მოსახლეობას არიან ამოფარებულნი და ამის გამო უკრაინულ არმიას ხელები აქვს შეკრული. პუტინმა კი მიიღო ამიაკის მილსადენი და მისი გადაქაჩვის საშუალება.**

**ამ ოპერაციის თანახმად, რუსებმა მიიღეს რუსული ენერგომატარებლების ტრანზაქციის საშუალება და 15 მაისამდე გადაუვადეს ემბარგოს ვადა. ასევე, ყველა პორტიდან დაიძრა შეჩერებული რუსული სასუქის გადაზიდვა აშშ-ში. ახლა კი მიმდინარეობს რუსული ამიაკის საკითხის განხილვა, რომელიც ტორიაკიდან ოდესაში გადაიქაჩება მილით, იქიდან კი აშშ-ში. მილის 1000 კმ უკრაინაზე გადის. ამიაკს ამერიკელები ყიდულობენ ტორიაკში, შემდეგ კი, როგორც ამერიკული ტვირთ, ისე გაივლის უკრაინაზე. რუსი და ამერიკელი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები კურირებენ ამ კამპანიას.**

**ჩვენ კი, გამოდის ბრძოლით გავათავისუფლეთ მილსადენი ამ ოპერაციისთვის. რუს ბიზნესმენებს, რომლებსაც ახლა ამერიკული პასპორტი და ბიზნესი აქვთ შტატებში ეხმარებიან ახლადგამომცხვარი უკრაინელი პოლიტიკოსები, რომლებიც ამ კამპანიას ფუთავენ ტყვეების გაცვლით. ახლა გაცვლა შეჩერებულია და შემდეგ გამოაცხადებენ ამიაკის გადაქაჩვის ოპერაციის სანაცვლოდ, რეალურად კი რუსებს ფულის შოვნაში ეხმარებიან. ამიაკის გადაქაჩვას ჩვენ მოვემსახურებით და დაიხარჯება ჩვენი ელექტროენერგია, რომელსაც ახლა რუსები გვინადგურებენ და უკრაინელი პოლიტიკოსების მსგავსი ქმედება ქვეყნის ღალატია. მათ პასუხი უნდა აგონ. ადრეც ხდებოდა ასე მთელი 8 წელი, სანამ ვეომებოდით რუსეთს 24 თებერვლამდე.**

**პოროშენკო-მედვეჩუკი ატარებდნენ რუსულ ამიაკს და ფუთავდნენ ტყვეების გაცვლით, ახლა კი არახამია მფარველობს ამ მილსადენს. ჩვენ პირდაპირ უნდა ვკითხოთ ჩვენს სამხედრო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას - რატომ არ არის აქამდე აფეთქებული ამიაკის მილსადენი, რომელიც უკრაინაზე გადის და რატომ ვეფერებით მას მაშინ, როცა რუსები ანადგურებენ ჩვენს ელექტროსისტემას.**

**ტყვეების გაცვლა ყველაზე სუფთა თემაა, რომელიც ღიად უნდა ხდებოდეს, მაგრამ ზუსტად მას იყენებენ მსგავსი ფინანსური ოპერაციების დასაფარად. ეს ამიაკიც არახამიას კისერზეა, რომელიც დიდხანს ველარ იმუშავებს“,** – აცხადებს უკრაინელი სამხედრო პოლიტიკური ანალიტიკოსი, რომან სვიტანი.




# გამარჯვებული ფერმერები 11 ნომინაციაში გამოვლინდნენ

**„ჩვენი მთავრობისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა. სახელმწიფოს ექნება ახალი პროგრამები, ახალი ინიციატივები, რომელიც კონკრეტულ საჭიროებებზე იქნება მორგებული. ძვირფასო ფერმერებო, თითოეულ თქვენგანს მინდა მადლობა გადაგიხადოთ დაუღალავი შრომისთვის. თქვენ ქმნით პროდუქტს და იმკვიდრებთ თავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. მე პირადად, როგორც მინისტრი გპირდებით, რომ ყველგან და ყოველთვის ვიქნები თქვენი მხარდამჭერი. გილოცავთ დღევანდელ დღეს და წარმატებებს გისურვებთ თქვენ და ჩვენს ქვეყანას“,** — განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ღონისძიებაზე წლის ფერმერები 11 ნომინაციაში (წლის ახალგაზრდა ფერმერი, წლის ქალი ფერმერი, წლის კაცი ფერმერი, წლის ინოვაციაზე ორიენტირებული ფერმერი, წლის ექსპორტზე ორიენტირებული ფერმერი, წლის უწყვეტ განათლებაზე ორიენტირებული ფერმერი, წლის აღმოჩენა ფერმერი, წლის რეგიონს დაბრუნებული ფერმერი, წლის ეკომეურნეობაზე ორიენტირებული ფერმერი, წლის ტრადიციული პროდუქტის მწარმოებელი ფერმერი, გმირობის ნაყოფი) გამოვლინდნენ. გამარჯვებულებს, სპეციალურ ჯილდოსთან ერთად, დიპლომები გადაეცათ.

**კონკურსში მონაწილე ფერმერები, შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებმა შეარჩიეს. თითო ნომინაციაზე წარდგენილი 3 ნომინანტიდან გამარჯვებული შემთხვევითობის პრინციპით გამოვლინდა.**

დაჯილდოების ცერემონიის დასრულების შემდეგ, ფერმერთა პროდუქციის დეგუსტაცია გაიმართა.

**ღონისძიებას, ფერმერებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

აღსანიშნავია, რომ 20 ნოემბერი ფერმერის დღედ 2015 წლიდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ყოველწლიურად აღინიშნება.

**ფერმერის დღის ფარგლებში, ქართული აგროპროდუქტის გამოფენა საგამოფენო ცენტრის „ექსპოჯორჯია“ (მე-6 პავილიონი) ტერიტორიაზე გაიმართა.**

# ძალიან მალე ქვეყანას საკუთარი რძე არ ექნება!

**რძის ნაწარმის ფასები უკვე რამდენიმე თვეა ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. როგორც ყველის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა მიქაძე „კომერსანტთან“ აცხადებს, ბაზარზე ნედლი რძის დეფიციტია, შესაბამისად, გაძვირებულია ყველიც და სხვა რძის ნაწარმიც.**

ანა მიქაძე ამბობს, რომ რძის დეფიციტი თვეების წინ დაიწყო და ძალიან მალე შესაძლოა საკუთარი რძე საერთოდ აღარ გვქონდეს, თუ სახელმწიფო მაღალპროდუქტიული საქონლის ჩამოყვანის პროგრამას არ განახორციელებს.



**„პანდემიის დროს დაიწყო რძის დეფიციტი და ყოველდღიურად ვითარება რთულდება. პანდემიის დროს მესაქონლეობაში ფერმერებს გაუძვირდათ საკვები, რადგან ქერზე და ხორბალზე ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა. ამ პრობლემების გამო, გამოსავალი საქონლის სახორცედ გაყიდვაში ნახეს. დღეს არის რამდენიმე ორგანიზებული ფერმა, მაგრამ ეს ამინდს არ ქმნის და ზღვაში წვეთია. ამ ყველაფერმა მაშინვე გააჩინა რძის დეფიციტი, შესაბამისად ადგილობრივი ბაზარი შეივსო რძის ფხვნილით და იმპორტირებული სხვადასხვა გაუგებარი რძით. დღეს ვართ ასეთ მძიმე მდგომარეობაში და არც მომავალი ჩანს საიმედო! ვფიქრობ, რომ ფასები რძეზე და რძის პროდუქტებზე კიდევ გაიზრდება. ძალიან მალე შესაძლოა საკუთარი რძე საერთოდ აღარ გვქონდეს, წლების მანძილზე ის ისედაც ცოტა იყო და ჩვენი ბაზრის მხოლოდ 30%-ს ვაკმაყოფილებდით, ახლა კი ეს მაჩვენებელი ალბათ განახევრდა, შეიძლება კიდევ უფრო შემცირდა კიდეც.**

**გამოსავალი არის ერთადერთი და ეს არის რომ როგორმე მესაქონლეობის პროგრამა ამუშავდეს, როგორც ეს გააკეთა არაერთმა ქვეყანამ.**

**სახელმწიფომ და ყველა ამ სფეროს მცოდნემ იცის ის, რომ ეს არის გასაკეთებელი, ამაზე წლებია ვსაუბრობ, მაგრამ მე ჯერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არ მინახავს. ეს არის სახელმწიფოს მიერ მაღალპროდუქტიული საქონლის ჩამოყვანა და მისი დარიგება, ისე რომ 50% გადაიხადოს მეურნემ, დანარჩენი 50% სახელმწიფომ, ასე გაკეთდა არაერთ ქვეყანაში, სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენ არასდროს არ გვყავდა მაღალპროდუქტიული საქონელი და ეს ახლა საჭიროა, რადგან სხვა შემთხვევაში მთლიანად გადავალთ იმპორტზე“,** — განმარტავს **ანა მიქაძე.**

საქსტატის 2022 წლის III კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 165 მლნ ლიტრი რძე იყო წარმოებული. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წარმოება 6.3%-თაა შემცირებული. რაც შეეხება ფასებს, რძის პროდუქტების ღირებულება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 40%-ით გაიზარდა.

# კალიფორნიაში „ქართული ღვინის ფორუმი“ წარმატებით ჩატარდა

**კალიფორნიის შტატის ქალაქებში, დევისსა და სან-ფრანცისკოში, ქართული ღვინის ფორუმი ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით და საქართველო-ამერიკის ბიზნესსაბჭოს ორგანიზებით გაიმართა.**

რიგით მეხუთე ფორუმის სამდღიანი პროგრამა მოიცავდა „საფერავის ფესტივალს“, ქართული ღვინის დეგუსტაციას და კონფერენციას, რომელიც ქალაქ დევისის რობერტ მონდავის ინსტიტუტში გაიმართა, მეცნიერების, ეკონომისტების და ღვინის პროფესიონალების მონაწილეობით. კონფერენციის ფარგლებში, განხილული იყო ქართული ღვინის აშშ-ის ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგია, ქართული ღვინის მარკეტინგული პოტენციალი აშშ-ის ბაზარზე, ქართული ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის მდგომარეობა, აშშ-ში ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდის პოლიტიკის საკვანძო ელემენტები და სხვა საკითხები.

**„საფერავის ფესტივალი“ ქალაქ სან-ფრანცისკოში, საქართველოს გენერალურ საკონსულოში გაიმართა და მას მასტერ-სომელიე ტეილორ პარსონსი უძღვებოდა. მან ღონისძიების სტუმრებს, ღვინის პროფესიონალებს და ღვინის ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებს სხვადასხვა კომპანიის წარმოებული საფერავის ღვინოები წარუდგინა.**

ღონისძიების მიმართ ინტერესი დიდი აღმოჩნდა როგორც სამეცნიერო წრეების, ისე ღვინის პროფესიონალების, ეკონომისტების და მეღვინეობა-მევენახეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მხრიდან. ლევან მეხუზლას შეფასებით, მსგავსი აქტივობები უმნიშვნელოვანესია ქართული ღვინის ამერიკის ბაზარზე დასამკვიდრებლად.

**„საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ წელს აღირიცხა ღვინის ექსპორტის ისტორიული მაქსიმუმი, 1 მილიონი ბოთლი. ქართული ღვინო წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მნიშვნელოვან გამოფენაზე. ჩვენი მხარდაჭერით იმართება ქართული ღვინის დეგუსტაციები, ქართული ღვინისა და მისი კულტურის გასაცნობად ორგანიზებას ვუკეთებთ ამერიკელი ღვინის პროფესიონალების საქართველოში ვიზიტს. ამ აქტივობების მიზანია, უფრო კარგად გაიცნონ, უფრო მეტად შეიყვარონ ამერიკელებმა ქართული ღვინო და გაყიდვები, მომდევნო წლებში, იყოს სტაბილურად მზარდი“,** — აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

**„ქართულ ღვინოს აშშ-ის ბაზარზე ძალიან კარგი პოტენციალი აქვს; განსაკუთრებით ახლა, რადგან სულ უფრო მეტი ახალგაზრდაა დაინტერესებული ღვინის შესახებ მეტის გაგებით. ამ მხრივ, ქართული ღვინო უნიკალურია. ერთ-ერთი ფაქტორი, რასაც მე 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდებში დავაკვირდი, არის ის, რომ ისინი მიდრეკილები არიან სიახლისკენ და სურთ რაღაც განსხვავებულის აღმოჩენა. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით კი, საქართველო სრულიად განსხვავებულია“,** — აღნიშნა ფორუმის მონაწილე ამერიკელმა ღვინის ექსპერტმა, დარელ კორტმა.




# საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად გაიზარდა!

**2022 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 15 228.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.5 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 4 546.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (34.0 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 10 682.4 მლნ. აშშ დოლარს (33.3 პროცენტით მეტია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში, 6 136.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.3 პროცენტია.**

საქსტატის ინფორმაციით, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (607.5 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (541.7 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (530.3 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-ოქტომბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.4 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 916.4 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 416.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (921.0 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-ოქტომბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.1 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 295.6 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 946.3 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 528.4 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-ოქტომბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 842.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 18.5 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 661.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 14.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 447.7 მლნ. აშშ დოლარით (9.8 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 1 222.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 11.4 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 1 136.0 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 10.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 623.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5.8 პროცენტი).



## ლია მუხაშავრია:

# უფრო გონივრულია, სასამართლო წესით, აღმასრულებელმა მოახდინოს გამოსახლება, პოლიციისთვის ამ უფლების დაბრუნება, ძალიან სახიფათოა...

**საქართველოში ბოლო პერიოდში ბინის მფლობელებსა და დამქირავლებს შორის ურთიერთობა საკმაოდ აქტიური თემა გახდა. ბინის მფლობელები ჩივიან, რომ მდგმურები ქირას ვერ იხდიან და მათ ბინიდან ვერ უშვებენ, ხოლო დამქირავებელი კი სწორედ ბინის მომატებულ ფასზე გამოთქვამს პრეტენზიას. სწორედ ამ საკითხის დასარეგულირებლად პარლამენტი იწყებს მუშაობას საპოლიციო გამოსახლების აღდგენაზე.**

**— რა უფლებები აქვს ბინის მფობელებს და რა მდგმურებს, ამ კითხვაზე იურისტი ლია მუხაშავრია გვესაუბრა.**

**— ბოლო თვეებია საკმაოდ აქტუალურია თემა — ბინების გაქირავება და მისი ფასები. ბინის მფლობელები პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ მდგუმრები ქირას ვერ უხდიან, ხოლო მათ გამოსახლებას ვერ ახერხებენ. რა სამართლებრივი მექანიზმი არსებობს ამისთვის?**

— თუ ბინის მფლობელს მდგმურთან ხელშეკრულება აქვს დადებული და მას არ ასრულებს, ამ შემთხვევაში, საქმე მიდის სასამართოში, ან მფლობელს შეუძლია თვითნებურ დახმარებას მიმართოს. თვითნებური დახმარება გულისხმობს შენით განხორციელებულ ქმედებებს, რომლითაც ურჩ გადამხდელს აიძულებ, რომ ბინა დატოვოს. ეს თვითნებური დახმარება შემდეგნაირი გზებით არის შესაძლებელი — როდესაც მდგმური სახლში არაა, საკეტი გამოცვალო და იძულებული იქნება იქაურობა დატოვოს. სამოქალაქო კოდექსი კი თვითდახმარების მექანიზმს ცნობს.

**— თუმცა, ბინის მეპატრონეები ხელშეკრულებას არ აფორმებენ, რატომ არ სურთ ხელშეკრულების დადება?**

— ხელშეკრულების დადება კანონმდებლობით სავალდებულო არ არის. ის შეიძლება წერილობითი ან ზეპირი იყოს, მაგრამ ბინის მეპატრონეები ძალიან ხშირად თავს არიდებენ ხელშეკრულების გაფორმებას იმიტომ, რომ შემდგომ საშემოსავლო გადასახადი არ გადაიხადონ, ანუ ქირის 20% არის საშემოსავლო გადასახადი. საგადასახადო ვალდებულებას ასრულებ იმიტომ, რომ შემდგომ სახელმწიფოსგან დახმარება მიიღო. როდესაც ამას არ ასრულებ, ცხადია სახელმწიფოსგან მხარდაჭერას არ უნდა მოელოდე. ძალიან მიკვირს იმ ხალხის, რომლებიც ხელშეკრულების გარეშე უცხო ადამიანებს ბინაში ისე უშვებენ, რომ საეჭვოა შემდგომ თვეებში ბინის ქირას დაფარავენ თუ არა. ამასთან, არანაირი დოკუმენტი არ აქვთ, რითაც სასამართლოში წავლენ.

**— სწორედაც, ბინის მეპატრონეები სასამართლოსაც ერიდებიან, რადგან სასამართლო პროცესები საკმაოდ იწელება. რატომ აჭიანურებს სასამართლო აღნიშნულ საქმეებს?**

— თბილისის საქალაქო სასამართლო ძალიან გადატვირთულია. გაცილებით მნიშვნელოვანი და ძალიან დიდ თანხებზე დავები წლობით ჭიანურდება. იქ რიგითობა არსებობს. ასევე, მოსამართლეები დიდი დატვირთვით მუშაობენ. ამიტომ, ამ მიზეზით არის ეს გამოწვეული და არა სხვა რაიმე ხელოვნური მიზეზით.

**— დღეის მდგომარეობით გამოსახლებაში პოლიცია არ მონაწილეობს, თუმცა აღნიშნულ საკითხზე პარლამენტში მუშაობა დაიწყო. რამდენად დაარეგულირებს პოლიციის ჩართულობა ან პირიქით გაართულებს ამ საკითხს?**

— თავის დროზე, ბევრი ბრძოლა გადავიტანეთ, რომ პოლიციას ეს უფლება ჩამორთმეოდა. პოლიცია არ იკვლევს და არ იძიებს ვინ არის მტყუანმართალი, ის უბრალოდ განკარგულებას ასრულებს. ეს შეიძლება არასწორი და უკანონო განკარგულება იყოს. ამიტომ, უფრო ცივილური ფორმა არის ის, რომ სასამართლო წესით აღმასრულებელმა მოახდინოს გამოსახლება. აღმასრულებელს შეუძლია მოიწვიოს პოლიცია. პოლიციისთვის ამ უფლების დაბრუნება, ჩემი აზრით, სახიფათოა, რადგან პოლიცია ვერ გაარკვევს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ეს უფლება თუ პოლიციას დაუბრუნდება, შეიძლება ძალიან ბევრი უკანონობა მოხდეს.

**— ბინის მფლობელი ხელშეკრულებას როდესაც არ აფორმებს, მდგმურს, წინასწარ, ქირის ბოლო თვის გადასახადს ართმევს. ეს რამდენად სწორი ფორმაა?**

— ეს სწორი ფორმა არ არის. მხარეები სამოქალაქო სამართლის სფეროში პირობებს შეთანხმებით აღწევენ. შეთანხმების პირობების შეცვლა როგორც ბინის მფლობელს, ასევე დამქირავებელს არ შეუძლია. თუ დამქირავებელს შეთავაზება არ აწყობს, მაშინ ხელშეკრულება წყდება. ამ შემთხვევაში იძულება გამორიცხულია. მნიშვნელობა არ აქვს მდგმურს რამდენი თვის აქვს გადახდილი, ან გადასახდელი. როდესაც ხელშეკრულებაში ყველა პირობა გაიწერება, მაშინ ურთიერთობა გაცილებით იოლია. როდესაც პირობები ზეპირად არის შეთანხებული და უცებ ბინის მეპატრონე მდგმურს ეუბნება ყველაფერი გაძვირდა და ქირას გიმატებ, ასე არ ხდება. როდესაც ამერიკაში ვცხვრობდი, იქ მარტივი ხელწერილი ცვლიდა ხელშეკრულებას. მარტივ ხელშეკრულებაში წერია, რომ ბინის მეპატრონემ მდგმურისგან მიიღო ერთი თვის ქირა და ამიტომ, იქიდან დამქირავებლის გამოსახლება არ შეიძლება. ჩვენთან ეს სისტემა ნელ-ნელა იხვეწება. გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველა მიხვდება, რომ ხელშეკრულება უნდა დაიდოს.

**— კანონით ბინის მეპატრონემ დამქირავებელს რამდენი ხნით ადრე უნდა აცნობოს, რომ ბინის გადასახადს უმატებს?**

— ხელშეკრულებაში უნდა ეწეროს გაფრთხილების წინასწარი ვადა რამდენია, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან პირობების შეცვლის. ერთი თვით ადრე მაინც უნდა ხდებოდეს ამის შეთანხმება.

**ესაუბრა**
**ქეთი გიორგაძე**






# გენო კალანდიას მემორიალური დაფა მეტეხის ქუჩაზე

**თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ლაბუჩიძე, პოეტ გენო კალანდიას მემორიალური დაფის გახსნას დაესწრო.**

ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გენო კალანდია ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის ქ. №16-ში ბოლო ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა. მისი სახელის უკვდავსაყოფად სახლის ფასადზე, სადაც პოეტმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა, მემორიალური დაფა განთავსდა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახა ლაბუჩიძემ მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებულია პოეტის როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის და ნდობის აღდგენის საკითხებში. სწორედ ამიტომ, სიმბოლურია, რომ მემორიალური დაფის განთავსების საკითხის ინიციატორი ის უწყებაა, რომელსაც თავად ხელოვანი წლები ღირსეულად ემსახურა.

ღონისძიების ფარგლებში, პოეტის საცხოვრებელი სახლის ეზოში, მოწვეულმა სტუმრებმა პოეტის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე ისაუბრეს. გაიხსენეს მისი მოღვაწეობა და ბრძოლა საქართველოს ერთიანობისთვის. მემორიალური დაფის გახსნის შემდეგ კი გენო კალანდიას ოჯახის წევრებმა, დამსწრე საზოგადოებას პოეტის ლექსების კრებული საჩუქრად გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ გენო კალანდია, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შერვაშიძის პრემიების ლაურეატია. ასევე იყო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთი“-ს რედაქტორი, მუშაობდა სოხუმის რადიოში, სოხუმის სახელმწიფო თეატრში. იყო აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი და საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე. იგი 30-მდე პოეტური კრებულის და დრამატული პიესების ავტორია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით პოეტ გენო კალანდიას მემორიალური დაფის გახსნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

მემორიალური დაფის გახსნას და შემოქმედებით საღამოს ესწრებოდნენ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებელი ნიკოლოზ ელისაშვილი, აფხაზეთის აჰრ მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები: ჯემალ გამახარია და ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის აჰრ განათლებისა და კულტურის მინისტრი ეკა ხოფერია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია, გენო კალანდიას ოჯახის წევრები, მეგობრები და მისი პოეზიის თაყვანისმცემლები.

# ბათუმში „კუნძულის“ მშენებლობა დაიწყო...



„იმედის კვირა“ ბათუმში ხელოვნური კუნძულის მშენებლობის პროცესით დაინტერესდა და ამ თემაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, თორნიკე რიჟვაძეს გაესაუბრა.

**„გახსოვთ, რომ ბევრს არ სჯეროდა თუნდაც იმ ამბიციური გეგმის, რომელიც ბათუმში ხელოვნური კუნძულის მშენებლობას უკავშირდებოდა. დღეს ყველას შეუძლია ნახოს, რომ მიმდინარეობს სამუშაოები“,** — განაცხადა რიჟვაძემ.

შავ ზღვაზე პალმის ხის ტოტებივით გაშლილი ტყუპი ნახევარკუნძული — ამბასადორი ბათუმი აილენდი, ისტორიული ქალაქის თანამედროვე განვითარების ახალი გზაა და ბათუმის, რეგიონის ახალ ბიზნეს ცენტრად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ამ მასშტაბურ პროექტზე საერთაშორისო მედიაც წერს, რომ ბათუმის სანაპიროსთან 80 ჰექტარზე კუნძულის მშენებლობა მოწინავე ტექნოლოგიებით იქნება დიდი სამშენებლო გამოცდილება. ამასთან, შექმნის თანამედროვე კომერციულ, რეკრეაციულ, საცხოვრებელ ინფრასტრუქტურას და 2000 სამუშაო ადგილს.

# ღამის მსოფლიო გვიყეფს!

**თუ ძაღლს ოდესმე მოფერებიხარ,**
**ალბათ შემცბარხარ ძაღლის თვალებით,**
**რა ერთგულებით მოგჩერებია,**
**რა სიყვარულით და მოკრძალებით!**



## შოთა ნიშნიანიძე

**გვიანი გაზაფხულის ერთ ჯანღიან დღეს, ქუთაისის ბულვარის გასწვრივ, ჩემთვის უჩვეულო სურათის უნებლიე მოწმე გავხდი – უცხოური იერის მქონე ახალგაზრდა ქალი ისეთი მზრუნველობით ეფერებოდა ქუჩის მაწანწალა ძაღლს, ძალაუნებურად იქცევდა გამვლელთა ყურადღებას. ადამიანურ სითბოს დანატრებული ძაღლიც ისე იყო გატრუნული, დარწმუნებული ვარ, ფიქრობდა, ეს სანეტარო წუთები უსასრულოდ გაგრძელებულიყო.**

ამ პირმშვენიერი ლედის თანმხლები მამაკაცი, ოდნავ მოშორებით იდგა, ხეზე მიყრდნობილი და მისი გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, მთელი არსებით თანაუგრძნობდა მოყვასისაგან გარიყულ ოთხფეხს.

მას შემდეგ, რაც პირველყოფილი ადამიანი ტყიდან გამოვიდა და საკაცობრიო ცივილიზაციას ეზიარა, ძაღლიც მოიშინაურა, დაიმეგობრა და მოსამსახურედაც გაიხადა. ძაღლებს იყენებენ რუსეთის და ფინეთის თოვლიან ტრამალებში მარხილში შესაბმელად, სამძებრო-სამაშველო სამსახურში, სახელმწიფო საზღვრების დაცვის მიზნით, ნარკოტიკების აღმოსაჩენად, უსინათლო და პარალიზებული ადამიანების თანაშემწედ და ა.შ.

ხშირად გაიგონებთ, ძაღლი ადამიანის ერთგული მეგობარიაო და ეს არ გახლავთ მხოლოდ ლამაზი სიტყვები. ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის, თუ როგორი თავგანწირვით ერთგულებდნენ ძაღლები თავიანთ პატრონებს. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის მამას - ფილიპეს, ყველა ბრძოლაში თან ახლდა ძაღლი, რომელიც გვერდიდან არასოდეს სცილდებოდა. მორიგი ბრძოლის დროს ფილიპე რომ დაიღუპა, ძაღლი გულისწამღები ყმუილით მიუწვა გვერდით ცხედარს, ხოლო კრემაციის მომენტში ღუმელში შევარდა და პატრონთან ერთად დაიწვა თავი!

**საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ დიქტატორობისკენ მიდრეკილ სოციოპათებს, ცხოველებისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულება ახასიათებთ. შეგვიძლია გავიხსენოთ პათოლოგი ადოლფ ჰიტლერი, რომელიც თავისუფალ დროს ძაღლებთან ატარებდა და იადონების გარემოცვაში პოულობდა სულიერ სიმშვიდეს. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, მესამე რაიხის მზის ჩასვენების კვირაძალზე კალიუმის ციანიდის მომაკვდინებელი შხამი გამოეცადა ოთხფეხა მეგობარზე, ვიდრე თვითონ გაუყვებოდა ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას.**



ადოლფ ჰიტლერი თავის უერთგულეს ძაღლთან

ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიით გაბრუებული და მსოფლიოზე ბატონობის იდეით შეპყრობილი ფიურერის ასეთ საქციელს შეიძლება რაღაც გამართლება მოუძებნოს კაცმა, მაგრამ გაკვირვებას იწვევს კომუნისტური რუმინეთის ერთპიროვნული ლიდერის **ნიკოლაე ჩაუშესკუს** ახირება, რომელმაც, კალიგულას მიბაძვით, საკუთარი ცხენი სენატორად რომ აირჩია, საკუთარ ძაღლს, ჯერ რუმინეთის არმიის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიანიჭა, სახელმწიფოს წინაშე გაწეული სამსახურისთვის, მერე კი ძეგლიც დაუდგა, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად.

ძაღლებისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი **ასლან აბაშიძე.** 2004 წლის 6 მაისს, გიორგობა დღეს, ვიდრე ბათუმში რომაელი ტრიუმფატორივით შეჭრილი სააკაშვილი აჭარის „განთავისუფლებას“ საჯაროდ გამოაცხადებდა, ასლან აბაშიძის კორტეჟი აეროპორტისკენ მიქროდ, რათა „აჭარის ლომი“ მოსკოვში დროულად გადაფრენილიყო. ასეთ სიჩქარესა და დავიდარაბაში, ასლანის საყვარელი კავკასიური ნაგაზი, სახელად ბასმაჩი, არავის გახსენებია და დარჩა ნაციონალების ტყვეობაში პატრონისადმი უსაზღვრო ერთგულებით ცნობილი ოთხფეხი.

თვითმხილველების გადმოცემით, მთელი ერთი კვირის განმავლობაში ბასმაჩი საკვებს პირს არ აკარებდა და წყალსაც კი არ სვამდა, ისე მძაფრად განიცდიდა პატრონთან განშორებას. რაც უნდა დაუჯერებლად მოეჩვენოს ვინმეს, ძაღლის ასეთ თავგანწირვას სააკაშვილისთვისაც მოულბია გული და მისი უშუალო განკარგულებით, მალევე გაუგზავნეს ბასმაჩი ასლან აბაშიძეს.

დავით გურამიშვილი, როცა სწავლის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას თავის დიდაქტიკურ შეგონებებში, სამაგალითოდ მოჰყავს უწვრთნელი ძაღლი, რომელსაც გაცილებით ნაკლები ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე უსწავლელ ყრმას:

**„ძაღლი უწვრთელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,**
**რომ შვილი ბრიყვი, უცები, დედმამას განათავებსა?**
**უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქს ავებსა,**
**გვარსა და ნათესავებსა სირცხვილი სჭრიდეს თავებსა...“**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია ძაღლი ოტია იოსელიანის რომანში „ვარსკვლავთცვენა“, რომელსაც უკავშირდება სოციალური ფაქტორით განპირობებული ის დრამატიზმით აღსავსე სცენა, სიუჟეტში რომ თამაშდება. შიმშილისაგან დაოსებული თოლია პატრონს მჭადს მოსტაცებს და ამ დროს გაისმის ტუხუიას განწირული კივილი, რომელსაც თვალწინ აართვეს მთელი დღის სამყოფი ულუფა: „შეჩერდა ვითომ ძაღლი, იცოდა რას ნიშნავდა პატრონის ესოდენ ძახილი, მაგრამ დიდი იყო მშიერი მუცლის ცდუნებაც“.

თავზარდაცემული, აფექტის მდგომარეობაში მყოფი ტუხუია თავს გაუჩეხავს ძაღლს და ეს არის კულმინაციური მომენტი, სულიერად რომ შეგძრავს ადამიანს: „ორად თავგაჩეხილი თოლია ცალ-ცალკე ხუჭავდა თვალებს, თითქოს ნახევარ-ნახევარი თავი ცალ-ცალკე კვდებოდა და ორივეს მაინც მჭადის ნატეხზე რჩებოდა თვალი“.

დღემდე მიკვირს, როგორ გადაურჩა ოტია ბრიჯიტ ბარდოს ქართველი ეპიგონების რისხვას, ცხოველთა დაცვაზე უფრო, ის მსუყე გრანტები რომ აინტერესებს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ღებულობენ რეგულარულად.

ქართული კინემატოგრაფია ცხოველების მიმართ გამოვლენილი გულისყურით მაინცდამაინც თავს ვერ მოიწონებს, მაგრამ ადამიანის ოთხფეხა მეგობარი მთლად უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ამის საილუსტრაციოდ მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კუჩხი ბედნიერი“ გამოდგება, სიუჟეტის გროტესკული განვითარებით. როცა საგანგებოდ დატრენინგებული კოჩია, პროფესიონალი მეკვლე პაჭუ ბაბუხადიას ნაცვლად, შემთხვევით კარზე მომდგარ ბროლიას რომ შეჰღაღადებს ღვთაებრივი მოწიწებით, შენი ბედი დამებედოსო, ამ უნებლიე შეცდომას ისეთი მეხთატეხა მოჰყვება, შეუძლებელია გული არ დაგეწვას უდანაშაულო ძაღლის ცოდვით.

თემურ ჩალაბაშვილს აქვს ერთი ლექსი, „საუბარი ძაღლთან“, რომელიც მრავალ საფიქრალს აღუძრავს ცხოვრების ბედუკუღმართობით სვეგამწარებულ კაცს:

**„შენი ცხოვრება ჩემს ცხოვრებას მაგონებს, ძაღლო,**
**მეც შენებრ ვფხიზლობ, ერთგული ვარ პატრონის ჩემის,**
**გაჩენის დღიდან უბედობას ორივე ვნაღვლობთ**
**და ერთი გზა გვაქვს სიცოცხლისა თუ თავის რჩენის.**
**ყოფამ ძაღლურმა შენც გასწავლა ქიცინი კუდის,**
**რა ჰქნა, გახარებს, საცოდავო, ულუფა მსუყე,**
**ბევრჯერ გამხდარხარ უნებლიედ მზრახველი ქურდის**
**და ვხვდები, ასე გამწარებით, მთვარეს რად უყეფ.**
**მე ვიცი, გტანჯავს, ძაღლო, შენი ძაღლური ხვედრი,**
**თუმც ერთნაირად ერთგული ხარ მონის და მეფის,**
**მაგრამ შენ ჩემზე ბედნიერი ხარ, მშურს და გყვედრი,**
**რადგან შენ კიდევ შეგრჩენია უფლება ყეფის“...**

ცოდვა გამხელილი სჯობს და, გასული 30-წლიანი ისტორიის ანალებს რომ გადავხედავ გონების თვალით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ფეხქვეშ რომ გათელეს დემოკრატიისა და ხალხთა უფლებების დაცვის ნიღბით მოსულმა სოციოპათებმა, მქონია ცდუნება, მართლაც მენატრა ზოგიერთი იმ ძაღლის ხვედრი, რომელსაც უზრუნველი ცხოვრებით ტკბობის ბედნიერება არგუნა არსთა გამრიგემ.

ადამიანების მიმართ გამოვლენილი ასეთი უღმერთო დამოკიდებულების გამოძახილი იყო ჯანო ონიანის მიერ 1998 წელს დაწერილი ერთი ლექსი, რომელშიც ის უმწვავესი რეალობა აისახა, რომელიც თავზე მოახვიეს ქართველ საზოგადოებას:

**„რასაც ვიხსენებ, ცრემლებად მაწვიმს,**
**შევესწარ ასეთ ამბავს,**
**ბაზართან ახლოს ძაღლი და კაცი**
**ერთად ქექავდნენ ნაგავს...“**

ზემოთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ძაღლები ვახსენე და ზედაპირული საუბარი რომ არ გამომივიდეს, შეგვიძლია კონკრეტული მაგალითი მოვიყვანოთ. ამ ორი ათეული წლის წინათ, საუკუნეთა გასაყარზე, აშშ-ში იყო ერთი გერმანული „ავჩარკა“, რომელსაც პატრონმა 373 მილიონი უანდერძა და გინესის რეკორდების წიგნშიც მიუჩინა საპატიო ადგილი. ამ ბედის ნებიერ ოთხფეხს ემსახურებოდა სპეციალურად მომზადებული ოფიციანტი და საჭმელს მაგიდასთან მიირთმევდა, დახვეწილი მანერების ჯენტლმენივით, ოღონდ ეგ იყო, დანა-ჩანგლის ხმარება ვერ ისწავლა და არც მადლობის სათქმელად იწუხებდა თავს, გემრიელად დანაყრების შემდეგ.

ხსენებულ „ავჩარკასთან“ ხმა არ ამოეღება, მაგრამ გვარიანად გაუმართლა ჩინეთის ქალაქ ხარბინის ბინადარ ნაგაზს, სახელად ერფუსს, რომელსაც მისი მარტოხელა და ხანდაზმული პატრონი ვან ძიუნი მზრუნველობას არ აკლებს და მზადყოფნას გამოთქვამს, მთელი დანაზოგი, 80 ათასი იუანი (დაახლოებით 12 ათასი აშშ დოლარი) დაუტოვოს ყოველდღიური ხარჯებისათვის. „ბოლოხანს თავს შეუძლოდ ვგრძნობ და ერთადერთი, რაზეც ვდარდობ, ჩემი ძაღლია“, – აცხადებს ვან ძიუნი, რომელიც სუფთა სინდისით აპირებს ამ ქვეყნიდან წასვლას.

ჩვენთან დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ქართველი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით კი დაბალი რან-



ნიკოლაე ჩაუშესკუმ საკუთარ ძაღლს პოლკოვნიკის ჩინი მიანიჭა

გის ჩინოვნიკები, გულქვა და სმენადაქვეითებულნი არიან სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ, მაგრამ, ჰიტლერისა და ჩაუშესკუს შემთხვევებისა არ იყოს, თავზე ევლებიან ცხოველებს, უპირატესად ძაღლებს, ცალკეულ შემთხვევებში კი – კატებსაც, ლუდოვიკო მეთოთხმეტის მსგავსად.

2020 წლის 17 ივლისს, თბილისის ცენტრში, წინამძღვრიშვილის ქუჩის იტალიურ ეზოში, უმეთვალყურეოდ დატოვებულმა პიდბულმა ლამის დაგლიჯა 67 წლის ქალბატონი. ძაღლი იმდენად აგრესიული იყო, მისი დისტანცირება ვერაფრით შეძლეს შემთხვევის შემსწრე მეზობლებმა, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღით არ მოკლა გამხეცებული ცხოველი ერთ-ერთმა მამაკაცმა.

ბედის ირონიით, იმავე დღეს, გორში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, მაწანწალა ძაღლი თავს დაესხა ექიმ ლექსო ხეთაგურს, რომელიც იძულებული გახდა სანადირო თოფით მოეკლა თავდამსხმელი.

ნორმალურ საზოგადოებაში, როგორც წესი, თანაგრძნობა დაზარალებულის მხარეზეა, მაგრამ ორივე ამ შემთხვევაში, სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე – ქართველი ბრიჯიტ ბარდოები ხანდაზმულ ქალბატონს ადანაშაულებდნენ, უწყინარ ცხოველს ნაგვით სავსე პარკი აუქნია, რითაც მისი პროვოცირება მოახდინაო, ხოლო რა ბედი ეწია მამაკაცებს, რომლებმაც მოძალადე ძაღლების ლიკვიდაცია მოახდინეს, ჩემთვის უცნობია. ასე იცის მოდაზე აყოლამ და დასავლეთის ამა თუ იმ ქვეყანაში ადაპტირებული მოდელის გაუაზრებლად გადმოტანამ ქართულ სინამდვილეში, სადაც განსხვავებული ტემპერამენტისა და მენტალიტეტის ხალხი ვცხოვრობთ.

ბევრი ქართველისათვის საოცნებო ამერიკაშიც განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენენ ადამიანის ოთხფეხა მეგობრის მიმართ, იქაური კანონმდებლები. ასე მაგალითად, თუ ქმარმა ცოლის ძაღლი სცემა, ასეთი ქმედება განქორწინების საფუძველი ხდება და განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სხვათაშორის, ამ ქვეყანაში, მიღებულია საცხოვრებელ ბინებში გოჭების ყოლა და ისინი განსაკუთრებული პრივილეგიებითაც კი სარგებლობენ ძაღლებთან შედარებით. აბა, შემთხვევით კი არ ყოფილა მარიხუანით ტვინგალაყებული ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე თოვლივით ქათქათა გოჭის თანხლებით რომ გადაადგილდებოდა თბილისის ქუჩებში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და დეპუტატობაც გაინაღდა.

**ცხონებულ ეროსი მანჯგალაძეს, რომელიც იმ ჩინელი ვან ძიუნის მსგავსად, მარტოხელა კაცი იყო, ჰყავდა პატარა ძაღლი, სახელად ტანგო. მოგეხსენებათ, ძაღლების ასაკი 15-17 წელს არ აღემატება და ამ ტანგომაც წაიღო თქვენი ჭირი. ეროსიმ ისე განიცადა უერთგულესი ოთხფეხა მეგობრის დაღუპვა, ნამდვილი ჭირისუფალივით განიცდიდა ამ დანაკლისს და დანა პირს არ უხსნიდა. სწორედ ასეთი ვითარებაში მიიღო სესილია თაყაიშვილის და სანდრო ჟორჟოლიანის მიერ გამოგზავნილი ელვა-დეპეშა, აი, ისეთი, ნოდარ დუმბაძის რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ილიკო ჩიგოგიძე რომ უგზავნის ზურიკელა ვაშალომიძეს და ილარიონ შევარდნაძეს – ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას ტანგოს დაღუპვის გამოო. ეროსი ის კაცი არ იყო, ხუმრობა ვერ გაეგო, მაგრამ ისე გააღიზიანა კოლეგების ასეთმა საქციელმა, აღარც კი ესალმებოდა მათ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.**

იმ ეპოქაში, როცა ეროსი მანჯგალაძის ტანგო დაიღუპა, საქართველოში ძაღლების სასაფლაო არ არსებობდა და არც შესაბამისი სერვისი იქნებოდა ხელმისაწვდომი, ამიტომ ჩემთვის უცნობია, თუ როგორ მიუჩინა ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა თავის განუყრელ მეგობარს სამუდამო განსასვენებელი. სამაგიეროდ, ცნობილია ნიკა გვარამიას შემთხვევა, როცა თავისი უსაყვარლესი ძაღლი საკუთარი მამის, ანზორ გვარამიას საფლავზე დამარხა და, როგორც საქმის მცოდნენი ამტკიცებენ, მარინა ბერიძის გარემოცვაში, ქელეხიც კი გადაუხადა, ყველა წესისა და რიგის დაცვით.

შეუძლებელია, გვარამიას არ სცოდნოდა, რომ იმ დროისათვის საქართველოს დედაქალაქში, კერძოდ, აფრიკის დასახლებაში, უკვე გახსნილი იყო ცხოველთა სასაფლაო, მაგრამ, სავარაუდოდ, ზედმეტ ხარჯებს მოერიდა და იმიტომ იპოვა ადვილი გამოსავალი.

თბილისის დამკრძალავი ბიურო „ჰერმესის“ ტექნიკური დირექტორის თემურ ბარელაძის ცნობით, ხსენებული სასაფლაო კლიენტების რაოდენობას არ უჩივის და ყოველთვიური საშუალო რაოდენობით 8-10 შეკვეთას ღებულობენ, შესაბამისი ნიხრებსა და რიტუალების გათვალისწინებით. დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს „ჰერმესის“ ავტომომსახურებით ანდა, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი ტრანსპორტით უზრუნველყოს ნეშტის გადმოსვენება. ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ, რამდენად ეთიკურია ასეთი სერვისიო, ბატონი ბარელაძე ამბობს: „სრულიად ჯდება ეთიკის ფარგლებში და არც სარწმუნეობრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება. შინაურ ცხოველს, არცთუ იშვიათად, ოჯახის წევრის სტატუსი აქვს. აკი, წლების განმავლობაში უვლიან, ეფერებიან, ეთამაშებიან... ეს ემოციებთან არის დაკავშირებული“.

**კი ბატონო, ემოციური ხალხი ვართ ქართველები, მაგრამ გადამეტებული რომ არაფერი ვარგა და ასეთი გაუაზრებელი მოქმედებით თავს კომიკურ სიტუაციაში ვიგდებთ, ამაზეც ხომ უნდა დაფიქრდეს ვინმე. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მხოლოდ ერთი მსგავსი შემთხვევა მახსენდება, როცა უსაყვარლესი მეუღლის მოულოდნელად გარდაცვალების გამო დარდისაგან განადგურებული სოსო ჯუღაშვილი (მომავალი სტალინი) ჩავიდა საფლავში (სხვა ვერსიით – ჩავარდა) უმშვენიერეს ეკატერინე სვანიძესთან გამოსამშვიდობებლად, თუმცა, ცხოველთან დაკავშირებული ვაი-უშველებელი და ისტერიკა მართლაც რომ პროვინციალიზმის მაჩვენებელია და მეტი არაფერი!**

ყურადღებიან მკითხველს უთუოდ ემახსოვრება, თუ რა გნიასი იყო ატეხილი 2020 წლის აპრილში, როცა ახალგაზრდა მომღერლისა და მხატვრის გიორგი პაპკიაურის გერმანული ნაგაზი, სახელად ები გაუჩინარდა და მთელი ოთხი დღის განმავლობაში, საბჭოთა პერიოდის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული. ახლა იმაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, როგორი ემოციით ჰყვება ამ ისტორიას დაკარგული ძაღლის პატრონი: „ეს ოთხი დღე ჩემთვის იყო სრული კოშმარი. რამდენიმე ხნის წინათ, ცოტა ხნით ევროპაში წასულმა, ები მეგობარს დავუტოვე. მართალია, სულ ხაზზე ვიყავი მასთან, მაგრამ გამუდმებით ჩემი სახლის აღმართზე იჯდა და „ჰაჩიკოსავით“ მოწყენილი მელოდებოდა. დროზე ადრე დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მომლოდინე ები იყო, რომელსაც არასოდეს დავტოვებ, სადაც არ უნდა წავიდე!“

უსინდისობა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს მთავრობა დაინტერესებული არ იყოს ქუჩებში მაწანწალა ძაღლების უკონტროლოდ მომრავლების პრობლემით, მაგრამ გატარებული ღონისძიებები აშკარად არასაკმარისია, ამის უარყოფას ხელისუფლების ყველაზე გულმხურვალე ადეპტებიც კი ვერ მოახერხებენ.

საყურადღებო და გასათვალისწინებელია ცნობილი ბიზნესმენისა და ძაღლების თავშესაფრის მეპატრონის თამაზ ელიზბარაშვილის წინადადება, რომელიც ამ უმწვავესი პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას გულისხმობს: „იმისათვის, რომ ქუჩაში შეამცირო ძაღლების რაოდენობა, უნდა მოხდეს მათი მასობრივი სტერილიზაცია-კასტრაცია და აღარ გამრავლდებიან. იმ ადამიანებზე, რომლებიც სახლში გაზრდილ ძაღლს მიატოვებენ, მაღალი ჯარიმა უნდა ვრცელდებოდეს. ასეა ევროპაში - მაღალი ჯარიმაა და პატიმრობასაც კი უფარდებენ“.



აჭარის ყოფილი ლიდერი ბანუყრელ ბასმაჩასთან

რაც შეეხება მაწანწალა ძაღლების სტერილიზაცია-კასტრაციას, ეს საშური საქმეა და, რაც უფრო დროზე დაადგება საშველი, მით უკეთესი იქნება როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე თვით ამ მაწანწალა ძაღლებისათვის, რომელთა ლიკვიდაცია, ცალკეულ შემთხვევებში, სრულიად უმიზეზოდაც კი ხდება.

როგორც ირკვევა, ზოგიერთი ადამიანისა არ იყოს, არსებობენ აგრესიული ქმედებისაკენ მიდრეკილი ძაღლები, რომელთა ქცევის გაკონტროლება შეუძლებელი ხდება. ამ მოსაზრების მკაფიო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, რომელიც მხატვარ-კარიკატურისტის ზალიკო სულაკაურის ოჯახში მოხდა: „საკუთარი სახლი ვიყიდეთ და თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლთა თავშესაფრიდან წამოვიყვანეთ ორი გაზრდილი ავჩარკა, რომელთაც ქეთო და კოტე დავარქვით. მომიტრიალდნენ ერთ დღესაც და დამკბინეს. ძირს ვეგდე იატაკზე, სისხლით მოთხვრილი. ნინო ორსულად იყო და ტრაგედიას გადავრჩით, რომ ის არ დაკბინეს - სააბაზანოში იყო იმ დროს. ნინო გადარჩა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი აღარ გაჩნდებოდა. ეგეთი ძაღლი რად მინდა, თუ შემჭამა“.

ერთი ცნობილი რუსული სიმღერის მიხედვით, ძაღლები ძაღლური ცხოვრების გამო იკბინებიან თურმე და თამაზ ელიზბარაშვილის თავშესაფარში გაზრდილ ქეთოს და კოტეს რამ აურიათ გონება, ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია!

**2015 წლის 13 ივნისის სტიქიური უბედურების შემდეგ, როცა ადიდებულმა მდინარე ვერემ თბილისის ზოოპარკიც მიწასთან გაასწორა, ბიძინა ივანიშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, ამ მიმართულებითაც გაეღო საჭირო თანხები: „ზოოპარკი იმ პირობებში, რაც იყო, მე არასდროს მომწონდა. 2006-2007 წლებში პროექტიც კი გავაკეთე და გარკვეული თანხები დავხარჯე. ვპირდებოდი მთავრობას, რომ დავეხმარებოდი დაფინანსებაში, რომ ცხოველს ჰქონდეს ცხოველური პირობები, თუ გინდათ ასე ვთქვათ, ადამიანური პირობები. თუ ვატყვევებთ ცხოველს, მოვექცეთ ღირსეულად. ვფიქრობ, ჩვენი ზოოპარკი ამ მხრივ, სანიმუშო დონეზე არ იყო“.**

ბატონი ივანიშვილი მანამდეც კარგად ინფორმირებული პერსონა გახლდათ, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამიტომ ისიც მშვენივრად ეცოდინებოდა, 2006-2007 წლებში არათუ დატყვევებულ ცხოველებს, დატყვევებულ ადამიანებსაც ამყოფებდნენ ცხოველებისთვის შეუფერებელ პირობებში, რაც თომას ჰამერბერგმაც დაადასტურა, ცხონებული სულხან მოლაშვილის მონახულების შემდეგ.

ისეთი უზრუნველი ცხოვრება არასოდეს მქონია, ნეტარებით რომ გავიხსენო, მაგრამ რაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ჯოჯოხეთი გამოვიარე და რამდენჯერაც გულქვა ჩინოვნიკების მიერ ბარიკადებად აღმართულ ყრუ კედელს წავაწყდი, გასაკვირი სულაც არ იქნება, ძაღლის ბედი რომ ინატროს ადამიანმა.

შოთა ნიშნიანიძის იმ ლექსს, რომლის ფრაგმენტი წინამდებარე წერილის ეპიგრაფადაა გამოტანილი, აქვს გაგრძელება, ყველა ღირსეული ქართველი რომ მოაწერდა ხელს:

**„ნუ მიიქცევი, სულო, საძილედ,**
**ძაღლივით ფხიზლად მიწექი კართან,**
**ნურაფერს ძაღლურს ნუ ითაკილებ**
**კუდის ქიცინის და ყეფის გარდა“.**

ცნობილია შემთხვევა, როცა უდედოდ დარჩენილი ბაჭია ძაღლმა გაზრდა. ბაჭიამ დედობილისგან ყველა ძაღლური ქცევა შეითვისა, გარდა ერთისა, ყეფა ვერ ისწავლა. სხვათაშორის, არსებობს ძაღლის ჯიში – ბასენჯი, რომელმაც ყეფა არ იცის, სამაგიეროდ, ზოგიერთმა ადამიანმა თუ ადამიანთა ჯგუფმა ისეთი ყეფა ისწავლა, ყურთასმენა აღარ არის. მაგალითად, ძაღლივით იყეფება იდიოტური გამომეტყველების მქონე მიშა მშვილდაძე, მაგრამ არაფერი გამოდის – ქარავანი, „ქართული ოცნების“ სახით, მაინც თავისი გზით მიდის!

ამ უბედურ დღეზე გაჩენილი მშვილდაძე-ბუღაძე – მაქარაშვილი-დიღმელაშვილის ყეფას რომ ვუსმენ, აკაკის ერთი გონებამახვილური ლექსი მახსენდება:

**„ერთგული ძაღლი მტრებს უყეფს,**
**ორგული – შინაურებსა,**
**საითაც უწრუპუნებენ,**
**იქეთკენ აცქვეტს ყურებსა“.**

მას შემდეგ, რაც სულძაღლიანი მიხაილ გორბაჩოვისა და მისი ყურმოჭრილი გოშიების მეცადინეობით ერთა შორის შუღლმა კულმინაციას მიაღწია, მურმან ლებანიძემ დაწერა ერთი საგულისხმო ლექსი:

**„სისხლის წვიმები ჩქეფენ –**
**ვწუხ, ბლოკადებით, ალყებით,**
**გვყეფენ, გვყეფენ და გვყეფენ,**
**იყეფებიან ხალხები.**
**ჰგავს ეს მსოფლიო ციხეს,**
**ვართ გულუბრყვილო ბალღები,**
**ლამის მსოფლიო გვიყეფს,**
**გვიყეფენ „მოძმე ხალხებიც“...**
**ვაჰ, ხვალე, არცთუ ნათელო,**
**ჩემო ეჭვო და შიშო,**
**ამაღლდი, ხალხო ქართველო,**
**გამაგრდი, ჩემო ჯიშო!“**

2021 წლის აპრილში, დემოგრაფიულ პრობლემებზე რომ ვამზადებდი სტატიას, მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, საქართველოში არსებული შობადობის უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი, ძაღლების ფაქტორითაც თუ იქნებოდა განპირობებული. ცნობილი დემოგრაფის ანზორ თოთაძის მტკიცებით, „შობადობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი ისედაც უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის, ოჯახებში მომრავლებული შინაური ცხოველები ხდება. ძაღლების პატრონებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ძაღლი მათი ოჯახის წევრია და ისევე უყვართ, როგორც შვილები, ლოგინშიც კი ერთად ვიძინებთო. ეს კი ღვთის გმობაა და მეტი არაფერი“.

**ნუ მოვიქცევით, მეგობრებო ისე, ღვთის რისხვა რომ დავიმსახუროთ. შეძლებისდაგვარად დავიცვათ ბალანსი – ვიზრუნოთ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე ისე, რომ ცხოველთა ინტერესებიც იყოს გათვალისწინებული ანუ, როგორც ქართული სიბრძნე გვასწავლის, არც მწვადი დავწვათ და არც შამფური!..**

**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო- ბუნეში-თბილისი.**




შინაური ცხოველების სასაფლაო



# ევროპაში დაწყებული ენერგოკრიზისი საქართველოს და აზერბაიჯანს კიდევ ერთ დიდ შანსს აძლევს!

**დღეს ევროპაში ენერგოკრიზისია. გაზისა და ნავთობის დეფიციტის შემდეგ, პრობლემებია ელექტროენერგიის კუთხით. შესაბამისად, ევროპა ალტერნატიული წყაროების მოძიებას გამალებით ცდილობს. ერთ-ერთი მიმართულება საქართველო და აზერბაიჯანია. როგორც დარგის სპეციალისტები ამბობენ, არსებობს პერსპექტივა იმისა, რომ 3-5 წელიწადში, როგორც აზერბაიჯანი, ასევე საქართველოც რეგიონის წონიანი მოთამაშეები გახდნენ.**

9 თვეში საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება 31%-ით გაიზარდა, რაც შეეხება პირველ და მეორე კვარტალს, საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებმა დაახლოებით 7 მილიონი კვტ/საათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს. 2022 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველომ რეკორდული რაოდენობის ელექტროენერგია გაყიდა. საქსტატის მონაცემებით, 9 თვეში ექსპორტზე 84 მლნ 339 ათასი დოლარის ელექტროენერგიაა გატანილი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 468%-ით აღემატება. მთავარი საექსპორტო ბაზარი თურქეთია. ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალო წლიური შეწონილი ფასი პირველ კვარტალში, დოლარში 16.4%-ით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში რეკორდული 171%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მეორე კვარტლის მონაცემებით, ელექტროენერგიის ფასი 10 თეთრიდან 25 თეთრამდე გაიზარდა.

საქართველოს ელექტროენერგიის ექსპერტზე გატანის პერსპექტივაც აქვს, მაგრამ მისი როლი, უფრო მეტად, მეზობელი ქვეყნებიდან ენერგიის გატარებით არის მნიშვნელოვანი. ამისათვის, როგორც კომპანია „ბემონის" დამფუძნებელი **გიორგი მირცხულავა** აღნიშნავს, მასშტაბური პროექტების განხორციელებაა საჭირო, რადგან ინფრასტრუქტურულად დღეს არც საქართველო და არც აზერბაიჯანი მზად არ არიან.

**„სრულიად ახალი და თანამედროვე ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი, როგორც 1990-იან წლებში ნავთობსადენი და გაზსადენი აშენდა, ისე მოგვიწევს — ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურების აშენება. უფრო მეტიც, ამ მოცულობის ელექტროენერგიის მისაღებად და გასატარებლად არც თურქეთია მზად. მოსაწყობია 500 კილოვოლტის ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგური თურქეთთან დასაკავშირებლად",** — აღნიშნა Ford Interastructure-თან ინტერვიუში მირცხულავამ.

გასულ თვეს საქართველოში ვიზიტისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** განაცხადა, რომ „რეგიონში იქმნება ახალი რეალობა" და ელექტროენერგიის ექსპორტს აზერბაიჯანი საქართველოს გავლით განახორციელებს. თუმცა, ამ მასშტაბური პროექტის ფარგლებში, გიორგი მირცხულავას თქმით, საქართველოს შეუძლია გახდეს არა მხოლოდ აზერბაიჯანული ელექტროენერგიის ტრანზიტული ქვეყანა, არამედ ელექტროენერგიის ექსპორტიორიც.

**„ამისთვის გვჭირდება მსხვილი ჰესების აშენებაც, რათა საჭირო ელექტროენერგიის გამომუშავება შევძლოთ და შემდეგ უკვე, შექმნილი ინფრასტრუქტურით, ქართული ელექტროენერგია საერთაშორისო ბაზარს მივაწოდოთ. მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება მოსახლეობის მხარდაჭერაც. ჩვენ, ალბათ, შარშან ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ევროპაში ასეთი ენერგოკრიზისი იქნებოდა, ესე იგი, მსგავს რისკებზე წინასწარ უნდა ვიფიქროთ. ქვეყანამ თავისი პოტენციალი ბოლომდე უნდა აითვისოს. ჩვენ გაგვიმართლა და გვაქვს უდიდესი ჰიდრორესურსი. მისი გამოუყენებლობა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ეს ქვეყანას განვითარებაში ხელს შეუშლის. ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ ჰიდროპროექტების განვითარებაზე, რა თქმა უნდა, ვსაუბრობ მაღალი ხარისხის, უსაფრთხო და საიმედო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. ჩვენი ქვეყნის „აბჯარი" და დაცვა სწორედ დიდი ენერგოპროექტებია. ჯერჯერობით ჰიდროელექტრორესურსების პოტენციალი, მაქსიმუმ, 20%-ით არის ათვისებული",** — აღნიშნა მირცხულავამ.

**პირველ კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება — 28%-ით, ხოლო მეორე კვარტალში 35%-ით გაიზარდა. ენერგეტიკოსების აზრით, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, არსებობს მოლოდინი, რომ საქართველოს ამჯერად ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით იმპორტი არ დასჭირდება. „წლევანდელი წელი ენერგეტიკული ბალანსისთვისაც საკმაოდ კარგი იქნება, საერთო ბალანსში იმპორტის წილი წესით, 10-12%-ს არ გადააჭარბეს",** — განაცხადა ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ.

ალსანიშნავია, რომ აგვისტოსა და სექტემბერში საქართველოს ელექტროენერგია მეზობელი ქვეყნებისგან საერთოდ არ შეუსყიდია.

**ბექა დანელია**

# ცენტრალურ აზიაში გეოპოლიტიკა იცვლება და ევროკავშირმა ამ შანსით უნდა ისარგებლოს

**„ცხადია, რომ რუსეთი და ასევე ჩინეთიც, ცენტრალური აზიის რეგიონში მთავარ როლს თამაშობდნენ და ახლაც ასეა. ამასთან ერთად, ცხადია, რომ რეგიონს სურს ურთიერთობების დივერსიფიცირება და ისინი ევროკავშირს განიხილავენ მისაღებ პარტნიორად",** — წერს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ჟოზეფ ბორელი

მისივე თქმით, ევროკავშირმა ეს შანსი უნდა გამოიყენოს, რადგან ცენტრალურ აზიას უზარმაზარი პოტენციალი აქვს.



**„ჩვენ უნდა გავაღრმაოთ კავშირები რეგიონთან და ვისარგებლოთ უზარმაზარი პოტენციალით, რომელიც მას აქვს ენერგომომარაგების, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულის მიწოდებისა და ახალი სატრანსპორტო დერეფნების სახით, რომლებიც არ არიან დამოკიდებული რუსეთზე. (ე.წ. შუა დერეფანი ან ტრანსკასპიური დერეფანი)",** — წერს ბორელი.

მისივე თქმით, „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი" უკვე მუშაობს შუა დერეფნის ტექნიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევასა და ხარვეზების აღმოფხვრაზე. როგორც ბორელი აცხადებს, არის სარკინიგზო გზების თავსებადობასთან დაკავშირებული პრობლემები, გემებისა და პორტების არასათანადო შესაძლებლობები და ასევე საბაჟო პროცედურები.

**„ცხადია, არსებობს კონკრეტული დაბრკოლებები, მაგრამ ასევე არსებობს ერთობლივი ვალდებულება და სტრატეგიული ინტერესი, რომ ეს დაბრკოლებები გადაილახოს, მათ შორის ევროკავშირის, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა" და „ევროპის საინვესტიციო ბანკის" მხარდაჭერით",** — წერს ბორელი.

17-18 ნოემბერს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ვიზიტით იმყოფებოდა ყაზახეთსა და უზბეკეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო „ევროკავშირი-ცენტრალური აზიის დაკავშირების კონფერენციაში". ტრანსკასპიური შუა დერეფანი გაივლის ჩინეთს, ყაზახეთს, კასპიის ზღვის აკვატორიას, აზერბაიჯანს, საქართველოს და შემდეგ ევროპის ქვეყნებს.

# რითი ხსნიან უკრაინელები რუსი ტყვეების დახვრეტას



უკრაინის პრეზიდენტის ოფისისი ხელმძღვანელის მრჩევლის, ალექსეი არესტოვიჩის განცხადებით, „როგორც გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, ერთ-ერთი რუსი სამხედრო მოსამსახურე ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს უკრაინელ ჯარისკაცებს".

**„თუ ტყვედ ჩაბარება გადაწყვიტე, მერე კი უცებ იარაღს იღებ, მაშინ შენ არ ხარ გმირი, რომელიც წინააღმდეგობას უწევ ვინმეს, არამედ შენ ჩადიხარ სამხედრო დანაშაულს ჟენევის კონვენციის საწინააღმდეგოდ",** — განაცხადა არესტოვიჩმა. მისივე თქმით, გადაწყვეტილება, რომ ტყვედ ჩაბარების მსურველი საფრთხეს არ წარმოადგენს, უნდა მიიღოს მან, ვინც მას ტყვედ ჩაიბარებს.

**„ვიდეოდან ვერ ვიგებთ, როგორ იქცეოდნენ ისინი, ვინც მიწაზე იწვა ან ზოგიერთი მათგანი მაინც, და რა ვითარებაში დაიღუპნენ, თუ ისინი მართლაც გაანადგურეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან",** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის ოფისისი წარმომადგენელმა. ანალოგიური განცხადება გააკეთა უკრაინის სახალხო დამცველმა დმიტრო ლუბინეცმაც. მისი თქმით, „ვიდეოს ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ რუსმა სამხედროებმა ტყვედ ჩაბარების ინსცენირება გამოიყენეს სამხედრო დანაშაულის ჩასადენად და ცეცხლი გაუხსნეს უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედროებს".

**„ასეთ შემთხვევაში რუსი სამხედროები არ შეიძლება, ჩაითვალონ სამხედრო ტყვეებად. ხოლო საპასუხო ცეცხლი უკრაინელების მხრიდან არ არის ომის დანაშაული. პირიქით, ის რუსი სამხედროები, რომლებმაც ისარგებლეს საერთაშორისო სამართლის დაცვით მკვლელობისთვის, უნდა დაისაჯონ",** — განაცხადა უკრაინის სახალხო დამცველმა. უკრაინის პრეზიდენტის ოფისში აცხადებენ, რომ გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. მანამდე, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უკრაინელი სამხედროები ტყვედ ჩაბარებული რუსი ჯარისკაცების დახვრეტაში დაადანაშაულა. ეს ვიდეო, სავარაუდოდ მაკეევკაშია გადაღებული.

# გაეროს გენერალურ მდივანს „აშშ-ის მარიონეტი" უწოდეს



**ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერეშს, რომელმაც ბალისტიკური რაკეტის გაშვება დაგმო, „დასავლეთის მარიონეტი" უწოდა.**

გაეროს გენერალურმა მდივანმა მკაცრად დაგმო ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვება და მოუწოდა ჩრდილოეთ კორეას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რაიმე შემდგომი პროვოკაციული ქმედებები. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჩოე სონ ჰუის განცხადებით, ის გუტერეშს მიიჩნევს „აშშ-ის თეთრი სახლის ან მისი სახელმწიფო დეპარტამენტის წევრად", რომელიც გაეროს წესდებას არ იცავს.

**„გაეროს გენერალური მდივანი გაეროს წესდების პრინციპებს იგნორირებას უკეთებს, ის არის აშშ-ის მარიონეტი",** — აცხადებს ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ცნობისთვის, პარასკევს ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ მისი ყველაზე გრძელ რადიუსზე მოქმედი რაკეტა, რწასონგ-17-ი გამოცადა.

# თურქეთის „კლანჭა-მახვილი" ტერაქტის შემდეგ

**თურქეთის სამხედრო ოპერაციას სირიის ჩრდილოეთში სულ მცირე 31 ადამიანი ემსხვერპლა. სირიის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, დაღუპულთა შორის არიან სირიის არმიის ჯარისკაცები, ქურთი მებრძოლები და ერთი ჟურნალისტი.**

დარტყმების ძირითადი სამიზნე ქალაქი კობანი და თურქეთის საზღვართან მისი შემოგარენი იყო. გავრცელებული ცნობით, საერთო ჯამში, სირიის ჩრდილოეთში თურქეთმა 25 ავიაიერიში განახორციელა. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ახლად დაწყებული ოპერაციის ფარგლებში ქურთისტანის რეგიონსა და როჟავაში 89 სამიზნე დაიბომბა. ქურთული დაჯგუფების, „სირიის დემოკრატიული ძალების" მეთაურმა თურქეთის სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით რეგიონში „დიდი კატასტროფის" საშიშროებაზე ისაუბრა.

თურქეთის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ოპერაცია „კლანჭ-მახვილის" ფარგლებში, მთავარი სამიზე ქურთული სამხედრო დაჯგუფებებია, რომლებიც სტამბოლის ტერაქტის უკან დგანან. ქურთები სტამბოლის აფეთქებასთან ყოველგვარ კავშირს უარყოფენ.



შალვა შვილებთან ბიძინა და ლევანთან ერთად.

# ძმობისა და მეგობრობის ალამდარი

## შალვა მგალობლიშვილი 80 წლისაა

19 ნოემბერს შალვა მგალობლიშვილს 80 წელი შეუსრულდა, ღირსეული პიროვნება, გამორჩეული თვისებების მატარებელი კაცი, რომელმაც განვლო დიდი ცხოვრებისეული გზა, იგი უაღრესად კეთილშობილი ადამიანია, საიმედო მეგობარი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი კაცია, ღირსეული ოჯახის ღირსეული წინამძღოლი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჩვენო შალვა, გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, მრავალი წელი გვენახე თქვენი ოჯახის თავკაცად.

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი საამაყო მონაგარის მფარველი.

პატივისცემით, მეგობრული სიყვარულით

**ვახტანგ ვეფხვაძე,**
**ოთარ ბრეგვაძე,**
**ილო ხუციშვილი,**
**ივა ბერაძე.**

# იმედისმომცემი გვირაბით – საუკუნის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენამდე

**ეგვიპტის სანაპიროზე, უძველეს ნაქალაქარ ტაპოსირის-მაგნაში, უძველესი ტაძრის ქვეშ არქეოლოგებმა ვრცელი, საოცარი გვირაბი აღმოაჩინეს, რომელსაც ექსპერტებმა „გეომეტრიული სასწაული“ უწოდეს.**

სტრუქტურა ტაძრის გათხრებისა და კვლევისას, სანტო-დომინგოს უნივერსიტეტის მკვლევარმა კეტლინ მარტინესმა და მისმა კოლეგებმა მიწაში, 13 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს. ორი მეტრის სიმაღლის გვირაბი ქვიშაქვაშია გაჭრილი 1305 მეტრზე.

**ეგვიპტის ტურიზმისა და სიძველეთა სამინისტროს განცხადებით, დიზაინით ის ძლიერ ჰგავს 1036 მეტრის სიგრძის ევპალინოს გვირაბს — ძვ. წ. მე-6 საუკუნის აკვედუკს (წყალსადენი არხი) საბერძნეთის კუნძულ სამოაზე. ხშირად მას ინჟინერიის საოცრებას უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ტაპსორის-მაგნას გვირაბი მთლად მისნაირი არ არის, მისი ინჟინერია არანაკლებ შთამბეჭდავია. ტაპსორის-მაგნას გვირაბის ნაწილი წყალშია ჩაძირული; ევპალინოს გვირაბთან მსგავსების გარდა, მისი დანიშნულება ჯერ უცნობია.**

**მარტინესი ტაპსორის-მაგნაში 2004 წლიდან მუშაობს და იქ კლეოპატრა VII-ს დაკარგულ საფლავს ეძებს. მას სჯერა, რომ ეს გვირაბი შეიძლება იმედისმომცემი მიგნება იყოს. წინა გათხრებმა გამოავლინა ნიშნები, რომლებიც სავარაუდოდ, პტოლემეების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელზე, დედოფალ კლეოპატრაზე მიუთითებს.**

ტაპსორის-მაგნა ძვ. წ. 280 წელს პტოლემე II-მ დააარსა, ალექსანდრე მაკედონელის სახელგანთქმული გენერლის ვაჟმა და კლეოპატრას ერთ-ერთმა წინაპარმა (თავად კლეოპატრა ძვ. წ. 51 წლიდან სიკვდილამდე, ძვ. წ. 30 წლამდე მეფობდა). მკვლევართა ჯგუფის აზრით, ტაძარი ღმერთ ოსირისს და მის დედოფალს, ქალღმერთ ისიდას ეძღვნებოდა — ღვთაებას, რომელთანაც კლეოპატრას ძლიერი ასოციაცია ჰქონდა. იქ აღმოჩენილია მონეტები, რომლებზეც კლეოპატრას და ალექსანდრე დიდის სახელებია დატანილი; ასევე აღმოჩენილია ისიდას ქანდაკებები.





**„სამარხი შახტები ასევე აღმოაჩინეს ტაძარშიც. შესაძლებელია, რომ კლეოპატრა და მისი ქმარი, მარკუს ანტონიუსი, ერთნაირ საფლავში იყვნენ დაკრძალული, თუკი ისინი საერთოდ ვიპოვეთ. ჯერ ძლიერ ადრეა იმის თქმა, მიგვიყვანს თუ არა ახალი გვირაბი ამ დიდი ხნის წინ დაკარგულ სამარხებამდე, მაგრამ მეტი ინფორმაცია შეიძლება სამომავლო კვლევებმა მოგვცეს.**

**შემდეგი ნაბიჯი ხმელთაშუა ზღვის ახლომდებარე მონაკვეთის კვლევა იქნება. ახ. წ. 320-1303 წლებში, ამ სანაპიროზე მრავალი მიწისძვრა მოხდა, რის შედეგადაც, ტაძრის ნაწილი დაინგრა და ტალღებმა შთანთქა. გარდა ამისა, წინა გათხრებისას აღმოაჩინეს გვირაბების ქსელი, რომელიც მარიუტის ტბიდან ხმელთაშუა ზღვამდეა გადაჭიმული. მიუხედავად იმისა, ვიპოვით თუ არა საფლავებს, ამ ნანგრევების გათხრები ძალიან ბევრს გვეტყვის ამ უძველესი, იდუმალი ქალაქის შესახებ. გვირაბში გარკვეული განძიც აღმოჩნდა: კერამიკის ნამტვრევები და კირქვის ოთხკუთხა ბლოკი.“**

13 წლის წინ, გათხრებისას, სიძველეთა მაშინდელმა მინისტრმა ზაჰი ჰავასმა აღნიშნა: **„კლეოპატრას და მარკუს ანტონიუსის საფლავების აღმოჩენა 21 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იქნება. მაგრამ თუ მათ ვერ მივაგენით, ტაძარსა და მის გარეთ აუცილებლად აღმოვაჩენთ ბევრ ძალიან მნიშვნელოვანს“.**







# ამაზონი – გიგანტური ხეების სამყოფელი

**სამწლიანი დაგეგმვის, ხუთი ექსპედიციის და გაუვალ ჯუნგლებში ორკვირიანი ხეტიალის შემდეგ, მეცნიერებმა საბოლოოდ მიაღწიეს ყველაზე მაღალ ხეს, რომელიც კი ოდესმე აღმოუჩენიათ ამაზონის წვიმის ტყეებში. ხე 25-სართულიანი შენობის სიმაღლისაა.**

გიგანტური ხე ჩრდილოეთ ბრაზილიაში, მდინარე ირატაპურუს ბუნების ნაკრძალში დგას, მისი სამეცნიერო სახელია Dinizia excelsa; ეგზემპლარის სიმაღლე 88,5 მეტრია, სიგანე კი 9,9 მეტრი და მეცნიერთა განცხადებით, უდიდესია ამაზონში ოდესმე აღმოჩენილთა შორის.

უზარმაზარი ხე მეცნიერებმა პირველად 2019 წელს, 3D რუკების პროექტის თანამგზავრულ ფოტოებზე შენიშნეს. იმავე წლის ბოლოს, მეცნიერებისა და ადგილობრივი გიდების ჯგუფმა ხესთან მისაღწევად ექსპედიცია დაგეგმეს.

**თუმცა, რთულ რელიეფზე 10-დღიანი ხეტიალის შემდეგ, საკვების გარეშე დარჩენილი, ქანცგაცლილი ჯგუფი, რომლის ერთი წევრიც ავად გახდა, უკან დაბრუნდა. მას შემდეგ, ამაპასა და პარას შტატების საზღვარზე მდებარე ჟარის ხეობის რეგიონში კიდევ სამი ექსპედიცია შედგა, რა დროსაც კიდევ რამდენიმე გიგანტური ხე იპოვეს, მათ შორის იყო ბრაზილიაში აღრიცხული უმაღლესი კაკლის ხე — 66 მეტრის სიმაღლის.**

თუმცა, უზარმაზარი Dinizia excelsa მოუხელთებელი რჩებოდა 12-25 სექტემბრის ექსპედიციამდე, რომელშიც, მასთან მისაღწევად მკვლევრებმა ნავით მდინარეში 250 კილომეტრი გაიარეს და 20 კილომეტრი ფეხით, გაუვალ, მთიან ჯუნგლებში. 19-კაციანი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს შხამიანმა ობობამ უკბინა. ერთ-ერთი მკვლევრის, დიეგო არმანდო სილვას განცხადებით, მთელი ეს სირთულე ამად ღირდა.

**„ეს ყველაზე მშვენიერი რამ იყო, რაც კი ოდესმე მინახავს. დგახარ ტყის შუაგულში, სადაც ადამიანი არასოდეს ყოფილა, წარმოუდგენლად მდიდრულ ბუნებაში“,** — ამბობს 33 წლის სილვა.

ხის ქვეშ დაბანაკების შემდეგ, ჯგუფმა შეაგროვა მისი ფოთლები, ნიადაგი და სხვა ნიმუშები, რომელთა ანალიზიც ახლა მიმდინარეობს, რათა პასუხი გაეცეს კითხვებს მისი ასაკის შესახებ; ასევე, რატომ არის ამ რეგიონში ამდენი გიგანტური ხე და რამდენ ნახშირბადს ინახავენ ისინი. მკვლევართა ვარაუდით, ეს უზარმაზარი ხე 400-600 წლისაა.

რეგიონის ხეების მასის დაახლოებით ნახევარს ატმოსფეროდან შთანთქმული ნახშირორჟანგი შეადგენს, რაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში.

თუმცა, მიუხედავად ასეთი მიუღწევლობისა, რეგიონის გიგანტური ხეები მაინც საფრთხის ქვეშაა.

Dinizia excelsa -ს მერქანი ტყის მჩეხავებს შორის ძვირად ფასობს; ამას გარდა, ირატაპურის ნაკრძალში შეჭრილი არიან ოქროს უკანონო მომპოვებლები, რომლებიც ეკოლოგიურ დესტრუქციას ახდენენ. გასული სამი წლის განმავლობაში, ამაზონის ბრაზილიის ნაწილში ტყის გაჩანაგების მაჩვენებელი 75 პროცენტით გაიზარდა.

მომზადებულია მიხეილ ჭაბუკაშვილის მიერ AGENCE FRANCE-PRESSE-ის და SCIENCEALERT-ის მიხედვით

**მოვლენის შემდეგ**

# მასპინძლებიც გვილოცავდნენ



**საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე, კარდიფში, ლეგენდარულ „ფრინციფალითიზე“ უელსის 13:12 დამარცხების შემდეგ ემოციებს ვერ მალავდა.**

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველომ უელსი დაამარცხა. ასევე, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბორჯღალოსნებმა ტიერ1-ის გუნდს სტუმრად მოუგეს:

**„დიდი მადლობა ამ მშვენიერი დღისთვის. მადლობა უელსის ნაკრებს. ჩვენ ეს მთელი ცხოვრება გვემახსოვრება. ჩვენ ვართ დიდი ისტორიის მქონე პატარა ქვეყანა, რომელიც ძალიან რთულ რეგიონში მდებარეობს. დღევანდელი დღე კი სწორედ იმის დადასტურებაა, რომ ისტორიულად ჩვენ ამ ოჯახის ნაწილი ვართ. ყველას გთხოვთ, მოგვეცით საშუალება, რომ ასეთი მაღალი დონის თამაშები ასეთ ატმოსფეროში ჩავატაროთ, რომ რაგბის განვითარებაში ერთად შევიტანოთ წვლილი.**

**უელსელმა ბიჭებმა თამაში წააგეს, მაგრამ მატჩის დასრულების შემდეგ ჩვენს მორაგბეებს გადაეხვივნენ და გამარჯვება მოულოცეს. მთელი მსოფლიო ასე უნდა იქცეოდეს. თამაშის დასრულების შემდეგ, ჩემი კოლეგა იღიმოდა და გვილოცავდა. ეს არის სწორედ ის, რაც თანამედროვე სამყაროს სჭირდება. საქართველოს სურს, რომ დაამტკიცოს — ჩვენ ისტორიულად შეგვიძლია კარგი თამაში და სიხარულის ყველასთან ერთად გაზიარება“** — აღნიშნა იოსებ ტყემალაძემ.

**ტატამზე**

# ოქროების წვიმა

**უნგრეთის ქალაქ დიორში გამართული კადეტთა ევროპის თასი ქართველი ძიუდოისტების ტრიუმფით დასრულდა. ქართველებმა 8 შესაძლებლობიდან 6 წონით კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს, რასაც კიდევ 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაამატეს.**

50 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში შოთა ბაჩოშვილმა მასპინძელ ადამ ფეკეს სძლია. 55 კგ.-ის ფინალში მერაბ სამადაშვილმა ასევე უნგრელი სებასტიენ კოლარი დაამარცხა.

წარმატებით დასრულდა 60 კგ. წონითი კატეგორია თორნიკე გიგაურისთვისაც, რომელმაც სლოვაკ მატეი კლობუჩნიკს სძლია. 66 კგ.-ის ფინალში კი გიორგი გივიშვილმა ოქროს მედალი ადამ მაიორის დამარცხებით მოიპოვა.

ქართველმა ძიუდოისტებმა ტურნირის მეორე დღესაც წარმატებით განაგრძეს ასპარეზობა:

73 კგ. იყო ერთადერთი კატეგორია, რომელიც ქართველთა მედლების გარეშე დასრულდა. ირაკლი ქავთარაშვილი მესამე რაუნდში სლოვაკ მეტოქესთან დამარცხდა. 81 კგ.-ის მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გიორგი ბენდელიანმა იტალიელი ალესანდრო ურბანო დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 90 კგ. წონით კატეგორიაში საბა გველესიანმა ფინალში რუმინელ ალექსანდრუ დინკას სძლია.

რაც შეეხება მძიმე წონას, აქ საერთოდაც ქართული ფინალი გაიმართა, რომელშიც შოთიკო გოჩიაშვილმა ლუკა ბენიაიძეს სძლია და საქართველოს ნაკრების გამოსვლა ტრიუმფით დაასრულა.

ამრიგად, ქართველმა კადეტებმა დიორში გამართული ევროპის თასი 6 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლით დაასრულეს.




**ყატარი — 2022**

# არაბულ ტალღაზე

**მსოფლიოს 22-ე საფეხბურთო ჩემპიონატს 2010 წლიდანვე დაებედა სკანდალები, ანუ იმ დღიდან, როცა ფიფას კონგრესმა ერთბაშად 2 ქვეყანას — რუსეთსა და ყატარს მიანიჭა შესაბამისად 2018 და წლევანდელი მუნდიალების მასპინძლობის უფლება.**

მიზეზად მაღალჩინოსანთა მოქრთამვა დასახელდა, რასაც ბლატერისა და პლატინის მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა მოჰყვა, თუმცა არავინ დაინტერესებულა — ნუთუ მანამდე, თუნდაც აველანჟის ეპოქაში, ყველაფერი კანონიერად ხდებოდა?

რაც უფრო ახლოვდებოდა პირველი არაბული და მეორე აზიური ფორუმი (კორეა — იაპონიის შემდეგ), მით უფრო ხშირად გაისმოდა საყვედურები ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოების დროს მუშახელის შრომის უსაფრთხოების ნორმ ების დარღვევის თაობაზე, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. გეკითხებით — სხვაგან ყველა იცავს აღნიშნულ ნორმებს? შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც ტყიბულის მაღაროსა თუ დედაქალაქის მშენებლობებზე დატრიალებული ტრაგედიები გავიხსენოთ.

სხვათა შორის, ტურნირამდე რამდენიმე თვით ადრე გაირკვა, რომ მთლად უცოდველი კრავნია რც გახსნის მატჩში მასპინძელთა მეტოქეები — ეკვადორელები ყოფილან, რადგან სამხრეთ ამერიკის საკვალიფიკაციო რაუნდში მათ სპორტულ ღირსებას კოლუმბიაში დაბადებული ნახევარმცველი კასტილიო იცავდა, რომელსაც ორ პასპორტში სხვადასხვა მონაცემები ეწერა. მართალია, ამჯერად ეკვადორელები მოკვეთას გადაურჩნენ, მაგრამ სოლიდური ფულადი სანქცია დაეკისრათ და მომავალ შესარჩევ ციკლს 3 საჯარიმო ქულით დაიწყებენ.




რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, ყატარი აზიის მოქმედი ჩემპიონია და ესპანელი მწვრთნელის სანჩესის თავკაცობით უკანასკნელ წლებში წარმატებით მოსინჯა ძალები როგორც კოპა ამერიკაზე, ისე კონკაკაფის ოქროს თასზე, ხოლო სტუმრებმა საკუთარ კონტინენტზე ჩილე, პარაგვაი და კოლუმბია ჩამოიტოვეს, ბოლო 6 ამხანაგური მატჩი კი წაუგებლად დაასრულეს (2 მოგება, 4 ფრე) და ერთი ბურთიც კი არ გაუშვიათ.

უშუალოდ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე კიდევ ერთი ჭორი გავრცელდა — ორგანიზატორებმა მეტოქის თითქმის მთელი ძირითადი ბირთვი მოისყიდესო, რის გამოც საზეიმო გახსნაში მონაწილეობაზე უარი შაკირამ და როდნი სტიუარტმა განაცხადეს. საბოლოოდ ცერემონიალს მორგან ფრიმანი გაუძღვა, ხოლო მთავარი — ბრძოლა არ შედგა.

### ყატარი - ეკვადორი 0:2

**გოლები: ვალენსია 2 (1 — პენალტით).**

პირველი დუბლი, პირველი პენალტი და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ჯგუფში მასპინძელთა ჩარჩენის მეორე რეალური საფრთხე (პირველად სასტარტო წინაღობა 2010 წელს სამხრეთაფრიკელებს დარჩათ დაუძლეველი).

ძნელი სათქმელია, რა დაემართათ ყატარელებს, მაგრამ ქვეყანას, რომელმაც მუნდიალის მისაღებად 220 მილიარდი დახარჯა, ასეთი სუსტი გუნდი არ უნდა ჰყავდეს.

**პარაფარიკაობა**

# არის ბრინჯაო!

**საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრებმა უნგრეთის მსოფლიო თასის გათამაშებაში გამოსვლა წარმატებით დაასრულა.**




რაპირით ფარიკაობაში გუნდურ ტურნირზე ქართველმა გოგონებმა: ირმა ხეცურიანმა, ნინა თიბილაშვილმა და გვანცა ზადიშვილმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში იტალიის გუნდს ანგარიშით 45:32 მოუგეს და ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ.

შეგახსენებთ, რომ ნინა თიბილაშვილმა იქვე ხმლით ფარიკაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა ნახევარფინალში უნგრელი ევა ჰაიმასი 15 :11 დაამარცხა, ფინალში კი უკრაინელ ევგენია ბრეუსს 15:14 სძლია და პირველ ადგილზე გავიდა.

**კორტზე**

# ჯოკოვიჩის მეექვსე ტრიუმფი

**ტურინში ATP-ს ფინალში, ნოვაკ ჯოკოვიჩმა 7-5, 6-3 დაამარცხა ნორვეგიელი კასპერ რუუდი და მეექვსედ გახდა სეზონის დამამთავრებელი ტურნირის ჩემპიონი, რითაც როჯერ ფედერერის რეკორდი გაიმეორა.**

რაც ასევე მნიშვნელოვანია, სერბმა ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალი საპრიზო თანხა — 4 740 300 დოლარი მიიღო.

**„მთელი შეხვედრის განმავლობაში, ყურადღებით ვიყავი, ყოველი ქულისთვის ვიბრძოდი. ის ფაქტი, რომ ამ გამარჯვებისთვის შვიდი წელი ვიცდიდი, ამ მიღწევას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის“,** — განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც გამარჯვება ამ შეხვედრაში მოწოდებული მეცხრე ეისით მოიპოვა და ტურნირის ჩემპიონი 2015 წლის შემდეგ პირველად გახდა.

23 წლის რუუდმა თავის კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. მან დიდი სლემის 21 ტიტულის მფლობელ მეტოქეს თავიდან მედგარი წინააღმდეგობა გაუწა, მაგრამ პირველი სეტის მიწურულს, ორი შეცდომა დაუშვა და სეტიც დათმო. აქედან მოყოლებული, სერბი კორტზე გაბატონდა და მეოთხე გეიმში ბრეიკს მიაღწია.

რუუდმა ამ ჩამორჩენის გასაქვითად, ყველაფერი იღონა, რაც შეეძლო, მაგრამ ჯოკოვიჩი მეტისმეტად კარგად თამაშობდა იმისთვის, რომ ეს უპირატესობა დაეთმო. ბოლოსწინა გათამაშება მარათონული გამოდგა — მეტოქეებმა 36 დარტყმა შეასრულეს. საბოლოოდ, სერბი ისევ უფრო ზუსტი იყო. 35 წლის ასაკში, ის ამ ტურნირის ყველაზე ხნიერი ჩემპიონი გახდა.



# ხადის ხეობის მოსახლეობას უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმება ჩაუტარდა



**ქვეშეთი-კობის ახალი გზის პროექტის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში, ხადის ხეობის მოსახლეობის უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმება გრძელდება.**

17 ნოემბერს, უკვე მესამედ, ხადის ხეობას კლინიკა „რემედიქალის“ სხვადასხვა პროფილის ექიმები ეწვივნენ და მთელი დღის განმავლობაში, ქვეშეთის ამბულატორიულ ცენტრში მსურველებს კონსულტაციას უწევდნენ. უფასო კონსულტაციები ჩაატარეს შემდეგი პროფილის ექიმებმა: ტრიაჟის ექიმი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, ნევროლოგი, ზოგადი ქირურგი, სისხლძარღვთა ქირურგი, ექიმი-ექოსკოპისტი. ქვეშეთის ამბულატორიული ცენტრი მომარაგებული იყო სხვადასხვა მედიკამენტითაც, რომლებიც, საჭიროების მიხედვით გადაეცათ ადგილობრივებს.

პაციენტებთან, რომლებმაც ქვეშეთის ამბულატორიაში მოსვლა ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ მოახერხეს, ექიმები თავად მივიდნენ და კონსულტაცია გაუწიეს.

**„საქართველოს რეგიონების მოსახლეობის უფასო გასინჯვას ლოზუნგით — „ერთად ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე!“ — რეგულარულად აწარმოებს კლინიკა „რემედიქალი“. მათი სამედიცინო საჭიროებების გაცნობა და ადგილზე მაქსიმალური დახმარების გაწევა მნიშვნელოვანია ჩვენი საექიმო გუნდის ყველა წევრისთვის“,** — ამბობს კლინიკა „რემედიქალის“ კლინიკური მენეჯერი, მედიცინის დოქტორი თეა გამეზარდაშვილი.

# წედისისა და ბნავისის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს!

**ამბობენ, რომ სოფლებში ბუნებრივი აირი ჯერ კიდევ 2 წლის წინ შეიყვანეს, თუმცა გაზი მხოლოდ ბნავისის სკოლას მიეწოდება. ადგილობრივების თქმით, ზამთრის გატარება სიცივეში მოუწევთ, რადგან შეშის ყიდვას ვერ ახერხებენ.**



„ქრონიკა“ „სოკარ ჯორჯიას“ წარმომადგენლებს დაუკავშირდა, სადაც აცხადებენ, რომ სოფლების გაზიფიცირება ეტაპობრივად მოხდება.

**„ამ სოფლებში მართალია გაზსადენის ქსელი აშენებულია სახელმწიფოს მიერ, მაგრამ ის შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრება არ არის. ეტაპობრივად ხდება ამ სოფლების და სხვა სოფლების გადმოცემა „სოკარ ჯორჯია გაზისთვის“ გარკვეული ვალდებულებების საფუძველზე, რომლის შემდეგ კომპანია იწყებს გაზიფიცირების პროცესს. კონკრეტული ვადები ჩემთვის უცნობია, მაგრამ შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად, უწყვეტ რეჟიმში განაცხადა „სოკარ ჯორჯია გაზის“ ქართლის რეგიონის ხელმძღვანელმა, გოჩა შანიძემ.**

# თამარ გაბუნია: ე.წ. ჰონგ-კონგის ვირუსთან დაკავშირებით განგაშის საფუძველი არ არსებობს

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, მონაცემების მიხედვით, სეზონური ვირუსების ცირკულაცია გასული წლებისგან არ განსხვავდება.



**„დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ვირუსების ცირკულაცია არ განსხვავდება გასული წლებისგან. მიმდინარე პერიოდში ყველაზე მეტად ცირკულირებს რინოვირუსი და რესპირატორული ვირუსი. შედარებით დაბალ პროცენტს აქვს ადენოვირუსი. გრიპის ვირუსი მხოლოდ ხუთი პროცენტია, რომელიც არის H3 ფორმით. H2 ფორმა კიდევ უფრო ცოტაა და ის ორ პროცენტშია“,** — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

ჟურნალისტებთან საუბრისას თამარ გაბუნიამ ე.წ. ჰონგ-კონგის ვირუსზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ამ ტიპის ვირუსის მასობრივ გავრცელებაზე ინფორმაცია არასწორია. მისივე თქმით, ე.წ. ჰონგ-კონგის ვირუსის მართვა ოჯახის ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, ჩვეულებრივ ბინაზეა შესაძლებელი. თამარ გაბუნიას თქმით, ვირუსი მეტად საყურადღებოა იმ ბავშვებში, რომლებსაც ქრონიკული დაავადებები აქვთ.

**„რაც შეეხება ე.წ. ჰონგ-კონგის ვირუსის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, ეს არასწორი ინტერპრეტაციაა. „ჰონგ-კონგის“ ვირუსის დასახელება ისტორიულია. ვირუსი ეპიდემიის სახით 1968 წელს იყო გავრცელებული. მას შემდეგ მისი მასობრივი გავრცელება მსოფლიოში არსად ყოფილა. ეს არის ვირუსი, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული ინტერესი არ ახლავს.**

**თუ ბავშვს აქვს სიცხე, უნდა გაიაროს კონსულტაცია ექიმთან და მშობელმა ჩვეულებრივად მართოს ეს დაავადება. ვირუსები საყურადღებოა უფრო იმ ბავშვებში, რომლებსაც აქვთ ქრონიკული დაავადებები.**

**თავის დაცვისთვის რეკომენდაციები ისევ არის ხელის ჰიგიენა, დისტანცია. ბავშვი თუ არის ავად, სკოლაში არ გაუშვათ. განგაშის საფუძველი არ არსებობს.**

**ჯანდაცვის სექტორი მობილიზებულია, რათა შეაფასოს ბავშვის მდგომარეობა და მართოს ბინაზე. თანხმლები დაავადება თუ არ აქვს, ჰოსპიტალში გადაყვანა ბავშვისთვის მეტი სტრესია, ამიტომ სჯობს, ოჯახის ექიმმა ბავშვი მართოს ბინაზე“,** — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

# 2023 წლის პირველი იანვრიდან, ექიმებისა და ექთნებისთვის საათობრივი ანაზღაურება დაწესდება

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის პირველი იანვრიდან, ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დაწესდება. **კერძოდ, ექიმებისთვის მინიმალური ანაზღაურება საათში შვიდი ლარით, თვეში საშუალოდ 1 260 ლარით, ხოლო ექთნების საათში 4.4 ლარით, თვეში საშუალოდ 792 ლარით განისაზღვრება. სამინისტროს ინფორმაციით, ხელფასის ზრდა შეეხება 9 000-მდე ექიმსა და 8 000-ზე მეტ ექთანს.**

**მათივე ცნობით, სამედიცინო სექტორში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების მინიმალური ზღვარის დაწესების შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა 2022 წლის დასაწყისში დააანონსა.**

**ამასთან, უწყების ინფორმაციით, რეფორმის მიხედვით, მომავალი წლიდან, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ყველა კლინიკის ხელმძღვანელობა, ვალდებული იქნება, ექიმებისა და ექთნების სახელფასო ანაზღაურება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მინიმალური ზღვრის გათვალისწინებით დაადგინოს. ახალი რეგულაციით, ხელფასის ზრდა შეეხება 9 000-მდე ექიმსა და 8 000-ზე მეტ ექთანს.**

## დინასტია

# ხე ნაყოფით იცნობა



**ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ გამორჩეულ სოფელს კახათი წარმოადგენს, ხოლო ოდიშართა აღნიშნულ ოდაბადეს ნაყოფიების დინასტიაც ამშვენებს.**

**ღირსეულთა შორის ღირსეული — ასეთად დაამახსოვრა საზოგადოებას თავი სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა კარლო ნაყოფიამ, რომელსაც წლეულს 80 წელი შეუსრულდებოდა და დედმამიშვილებთან — ცინასთან და კორნელისთან ერთად ალბათ იმქვეყნადაც ახერხებს სიკეთის ქმნას.**

**შოთა ნაყოფიასა და პაშა სახურიას მრავალშვილიანი შრომისმოყვარე ოჯახის მარადიული ტკივილი 33 წლის ასაკში გახდა უკვდავების ბინადარი, მაგრამ საბედნიეროდ ულამაზეს და უერთგულეს რჩეულთან დენიზა კვარაცხელიასთან ერთად ძვირფასი ოჯახის შექმნა მაინც მოასწრო და საამაყო შთამომავლობა დაგვიტოვა ნინოსა და კობას სახით.**

**დიახ, სიცოცხლე გრძელდება და უკვე სასახელო წინაპართა სამაგალითო მონაგარი უნდა წარმოგიდგინოთ, რომელიც საკადრისად აგრძელებს ძველი გვარდიის მისაბაძ ტრადიციებს.**

**მართლაც, ძნელია პატივისცემის გარეშე ისაუბრო ნინო ნაყოფიასა და ჯონი აბრალავას კერიაზე, რომლებიც წარჩინებული სტუდენტების — მარიამისა და სალომეს მშობლები არიან.**

**მეტიც — მარიამის და მიშა შონიას ახალგაზრდა ოჯახის გვირგვინია რამდენიმე თვის ნიკოლოზი, სალომე და ირაკლი ჭიჭინაძე კი ახალშეუღლებულნი გახლავან და ვიმედოვნებთ მათი ნაგრამითაც გავიხარებთ.**

**აღსანიშნავია, რომ მატებაა კობა ნაყოფიასა და ელიტა კაკულიას ჭერქვეშაც, რომლებიც მეათეკლასელ ანდრიას აღზრდით არიან დაკავებულნი.**

**მოკლედ, ასე იყო, ასე არის და, უფლის ნებით, ასე იქნება მომავალშიც — პირნათელ მამულიშვილთა ჩაყრილი სიკეთის ნერგი ნოყიერ ნიადაგს ყველგან პოულობს და მდიდარი მოსავლით გვანებივრებს.**

**ნაყოფიების საგვარეულო.**



# სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საკითხი მოწესრიგდება

ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა იმ სისტემაში გარკვევა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება 18 წელს მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გაწვევა სამხედრო სამსახურში.

**„მნიშვნელოვანია, ზუსტად ვიცოდეთ ის მდგომარეობა, რომელიც ამ თვალსაზრისით არსებობს სახელმწიფოში, რათა დროულად ხდებოდეს ინფორმაციის მიმოცვლა იმისათვის, რომ შშმ პირების უსაფუძვლოდ გაწვევა არ ხორციელდებოდეს, მათ არ უწევდეთ საჭირო დოკუმენტების წარდგენა და ბიუროკრატიულ პროცესებში ჩართვა.**

**შესაბამისად, განვიხილეთ არსებული რეგულაციები, თუ სად შეიძლება არსებობდეს ნაკლოვანებები და რისი გაუმჯობესების შესაძლებლობა არსებობს“,** — განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.


# განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 დეკემბერს 14:00 საათზე, ქ. თელავში, დავითაშვილის 17-ში დანიშნულია კოოპერატივი „რკ ალაზნის ველის“ წევრთა საერთო კრება.

**ადმინისტრაცია**




# ქართული რესტორანი „მიშლენის“ გზამკვლევში

**ნიუ-იორკში მდებარე ქართული რესტორანი „Chama mama“, რომელიც მეგაპოლისში უკვე ორ ფილიალს ფლობს, „მიშლენის გზამკვლევში“ მოხვდა. იგი შტატებში მოქმედი ქართული რესტორნებიდან პირველია, რომელიც ამ საუკუნოვანი გამოცემის სიაში დასახელდა.**

MICHELIN Guide 30 000 დაწესებულებას აფასებს, რომლებიც სამ კონტინენტზეა განთავსებული.

აი რა სწერს იგი „Chama mama“-ზე: **„ქართული სამზარეულო, რომელიც ორიენტირებულია ხორცზე, ყველსა და პურზე, არის ნათელი და თანამედროვე ადგილი. შედით და აღმოაჩინეთ ფერადი ცარცის დაფა მაღალი ჭერი, თეთრი კედლები და ბუნებრივი ხის იატაკი, რომელიც ინტერიერს სიმკვეთრეს და სისუფთავეს მატებს. შინაური პელმენი, რომელიც სავსეა ყველის, ღორისა და საქონლის ხორცით. ფენოვანი ცომი, საქონლისა და ღორის ქაბაბი მწვანე ქლიავის სოუსით და ბროწეულის მარცვლებით, აქ ყველაფერი მხიარული და გემოვნებიანია“,** — წერს MICHELIN Guide.

მიშლენის „წითელი მეგზური“ — რესტორნების გიდების სერიაა, რომელსაც საუკუნეზე მეტია საბურავების მწარმოებელი ფრანგული კომპანია „მიშლენი“ გამოსცემს. მეგზური ევროპული სასტუმროებისა და რესტორნების ყველაზე ძველ და კარგად ცნობილ გიდს წარმოადგენს, რომელიც მათ მიშლენის ვარსკვლავს ანიჭებს (სამვარსკვლავიანი სისტემით). ვარსკვლავის მოპოვებამ ან დაკარგვამ შესაძლოა დრამატული გავლენა იქონიოს რესტორნის ბედზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესტორნის მენეჯერის ასისტენტად სულ ახლახან დაინიშნა ქართველი გოგონა ანა კალანდაძე.

# „ვიტორიო სელა და სვანეთი“

**საქართველოს ულამაზეს კუთხეში სვანეთში, ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფისა და მთამსვლელის ვიტორიო სელას ფოტოსურათების გამოფენა სახელწოდებით — „ვიტორიო სელა და სვანეთი“ მოეწყო.**

ვიტორიო სელას (1859-1943) მიერ გადაღებული მთის ფოტოები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული ფოტოგრაფიის ამ მიმდინარეობაში. მას ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის გეოგრაფიის, ალპინიზმისა და ფოტოგრაფიის განვითარებაში.

ვიტორიომ ფოტოგრაფია მამისგან, ჯუზეპე სელასგან შეისწავლა, ხოლო მთამსვლელობის ინტერესი ბიძამ, კიუნტინო სელამ, გამოჩენილმა მეცნიერმა და პოლიტიკოსმა, იტალიური ალპური კლუბის დამაარსებელმა გაუღვიძა. სელა ალპებში რამდენიმე მნიშვნელოვან მწვერვალზე ავიდა და მონაწილეობა მიიღო მრავალ ექსპედიციაში ოთხ კონტინენტზე, მათ შორის სამ ექსპედიციაში კავკასიონზე (1889, 1890, 1896). კავკასიის ექსპედიციების დროს გადაღებული ფოტომასალის დიდი ნაწილი სვანეთთან არის დაკავშირებული. თავის ჩანაწერებში სელა სვანებს თვითმყოფად, ამაყ და კეთილშობილ ადამიანებად მოიხსენიებს.



ხელოვანი მთამსვლის ფოტომასალა, მათ შორის კავკასიური ექსპედიციების 800-მდე ნეგატივი, წერილები და დღიურები დაცულია სელას ფონდში ბიელაში და ალპური ფოტოგრაფიის ინსტიტუტში ტურინში. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმმა დიდი სიამაყით წარუდგინა საზოგადოებას კავკასიონით, საქართველოს მრავალი კუთხითა და განსაკუთრებით სვანეთით აღტაცებული ვიტორიო სელას ფოტოსურათები, — ნათქვამია სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**რუსუდან ქობულია**

# „მასტერშეფის“ გამარჯვებული



**საქართველოს პირველი არხის კულინარიული მეგაშოუს „მასტერშეფის“ მერვე სეზონის გამარჯვებულის ვინაობა ცნობილია. ქვეყნის საუკეთესო მზარეულის ტიტული ნინო ვარშანიძემ მოიპოვა.**

„მასტერშეფის“ ტიტულისთვის ასევე იბრძოდნენ ლუკა თოდუა და ნიკუშა მანაგაძე. ქართულ ტელესივრცეში ერთადერთი ლიცენზირებული საერთაშორისო კულინარიული მეგაშოუს — „მასტერშეფის“ მერვე სეზონი საქართველოს პირველ არხზე 25 სექტემბერს დაიწყო.

# „ტიტანიკის“ მგზავრის საათი აუქციონზე გაიყიდა




**ინგლისში, აუქციონზე Henry Aldridge & Sons „ტიტანიკთან“ დაკავშირებული ნივთები გაიყიდა.**

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ლოტი ჯიბის საათი იყო, რომელიც ვინმე ოსკარ სკოტ ვუდის ეკუთვნოდა. ის 98 ათასად გირვანქად გაიყიდა. ვუდი ცნობილი გემის აისბერგთან შეჯახების შემდეგ ჩაიძირა. მისი საათის ატლანტის ოკეანიდან კატასტროფიდან ერთი თვის შემდეგ ამოიღეს და მის მეუღლეს გადასცეს.

საათის გარდა აუქციონზე გაიყიდა გემის პირველი კლასის მენიუ, რომელშიც 50 000 გირვანქად გადაიხადეს, პირველი კლასის მგზავრთა სიაში კი მყიდველმა 41 000 გირვანქად გაიღო.

# ირანში ორი ცნობილი მსახიობი დააკავეს

**ორი ირანელი ცნობილი მსახიობი მასობრივი ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების საჯაროდ მხარდაჭერისთვის დააკავეს. ჰენგამე ღაზიანი და კატაიუნ რიაჰი ბრალდებულია ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებასა და ღალატში.**



ირანის სახელმწიფო მედია წერს, რომ ორივე ქალი საზოგადოების წინაშე თავსაბურავის გარეშე გამოჩნდა.

მსახიობები ცნობილ ირანელ საზოგადო მოღვაწეთა შორის არიან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქვეყნის სასულიერო პირების წინააღმდეგ აქციის მონაწილეებს.

# თავდასხმა ღამის კლუბზე

**აშშ-ში, კოლორადოს შტატში ღამის კლუბზე შეიარაღებულ თავდასხმაში ეჭვმიტანილი დააკავეს. იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაა და მას ექიმები ჭრილობებზე მკურნალობენ.**

ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, რომ კლუბში მყოფმა ორმა ადამიანმა თავდამსხმელი გაანეიტრალა. აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ამერიკელებს **„არ შეუძლიათ და არ უნდა მოითმინონ სიძულვილი“.**

ცნობილი ხდება, რომ ეჭვმიტანილი კლუბის ტერიტორიაზე შაშხანით შევიდა. პოლიციაში განაცხადეს, რომ გამოძიება განიხილავს, იყო თუ არა ეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და ერთზე მეტი პირი იყო თუ არა ჩართული. ბოლო მონაცემებით, სულ მცირე ხუთი ადამიანი დაიღუპა და 18 დაშავდა აშშ-ის კოლორადოს შტატში მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა პირმა გეი კლუბში ცეცხლი გახსნა.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 25 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7188; ევრო - 2.8213;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2419;
100 რუბლი - 4.4986; თურქული ლირა - 0.1460;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6022;
1000 სომხური დრამი - 6.8714

**ამინდი 23 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +16 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +9, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge